გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

# აჭარა

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№83 (25.107) ხუთშაბათი, 3 - 4 აგვისტო, 2023 წ. 50 თეთრი

### გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 27-32 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 27 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსანი უსი

ტრანსკასპიური სატრანსპორტო საერთაშორისო მარშრუტი შთამბეჭდავი ტემპით ხორციელდება და რეგიონალური დაკავშირებადობის უნარს ძალიან ზრდის, - აცხადებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ყაზახეთის პრემიერთან ალმატიში შეხვედრის შემდეგ. მისივე თქმით, წინსვლაა ტრა-



ნზიტისა და ტრანსპორტის სფეროებში თანამშრომლობის მიმართულებით. „შუა დერეფანთან დაკავშირებით საქართველოს და ყაზახეთის ამბიციური გეგმები განვითარების ახალი ერის დასაბამია“, - აღნიშნავს ირაკლი ღარიბაშვილი.

* * *

ევროკავშირმა მსოფლიოში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის მდგომარეობის შესახებ 2022 წლის ანგარიში გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, ზოგადად, საქართველოში ადამიანის უფლებათა მყარი სისტემა არსებობს, რომელიც საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამის კანონებსა და პოლიტიკას მოიცავს, თუმცა, მათი აღსრულება/განხორციელება რამდენიმე მიმართულებით უნდა გაძლიერდეს. ანგარიშში აღნიშნულია, რომ შემდგომი ძალისხმევა საჭიროა სასამართლო რეფორმების, კორუფციასთან ბრძოლის და სახელმწიფო ინსტიტუტების დამოუკიდებლობის გაძლიერების სფეროებში.

* * *

როგორც ჩანს, „ქართული ოცნება“ სერიოზულად განიხილავს ანაკლიის პორტის ჩინელებისთვის გადაცემას. ეს იქნება მძიმე დარტყმა საქართველოს გეოპოლიტიკურ სტატუსზე, - განაცხადა „ლელოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გრიგოლ გეგელიამ. მისივე თქმით, ხელისუფლება ცდილობს შავ ზღვაში შემოიყვანოს ჩინეთი, რომელიც ღიად არის დაპირისპირებული აშშ-თან.

მოამზადა ია შველიძემ

# საჭადრაკო ფესტივალი დაიხურა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში ხუთ დღეს მიმდინარეობდა „საჭადრაკო ფესტივალი ბათუმი 2023“. იგი წელს მეთვრამეტედ ჩატარდა და მასში ექვსი ქვეყნის 150 მონაწილე იყო ჩართული*

ფესტივალის ფინანსური მხარდამჭერები ბათუმის მერია, აჭარის სპორტის დეპარტამენტი, ბათუმის სპორტული ცენტრი იყვნენ, ხოლო ორგანიზატორი - აჭარის ჭადრაკის ფედერაცია (პრეზიდენტი - საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია).



ფესტივალის ფარგლებში რამდენიმე ღონისძიება გაიმართა, მათ შორის, ტურნირი ჭაბუკებსა და გოგონებს შორის - 8, 10, 12 და 20 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში (თითოეული ასაკობრივი კატეგორია შვეიცარიული სისტემით - 7 ტურად), ასევე, ბლიცტურნირი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველა მოჭადრაკეს, ასაკის შეუზღუდავად. პირველ ხუთ საპრიზო ადგილზე გასული მოჭადრაკეებისთვის დაწესებული იყო სხვადასხვა პრიზი. მოსწავლეთა შედეგების მიხედვით, დაჯილდოვდა ის ხუთი მწვრთნელი, რომელთა აღზრდილებმა თავი გამოიჩინეს. მათ დიპლომებთან ერთად, ფულადი პრიზებიც გადაეცათ.

სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში პირველ ადგილზე გავიდნენ: გაბრიელ კუხალაშვილი (მწვრთნელი - ვაჟა ვაშაკიძე), სოფია ლიმარი (მწვრთნელი - ანდრეი ლიმარი), საბა ჩერქეზია (მწვრთნელი - ზვიად ფაცია), ბარბარე შონია (მწვრთნელი - გოჩა თორია), დავით ჩანქსელიანი (მწვრთნელი - კონსტანტინე შანავა), ლიკა ჩხარტიშვილი (მწვრთნელი - დავით მაღალაშვილი), გიორგი გოგიაშვილი (მწვრთნელი - ალექსი ტერ-კარაპეტიანი), ქსენია ბონდარუკი (მწვრთნელი - ანდრეი ლუკინი).

14 წლამდე ჭაბუკთა შორის პირველი ადგილი გიორგი ზოიძემ, ხოლო გოგონათა შორის ანეტა ქედელიძემ დაიკავეს, თექვსმეტ წლამდე კატეგორიაში პირველ ადგილზე ვაჟებში - ალექსანდრე ჯიბუტი, გოგონათა შორის კი ანა ლიმარი გავიდა, მწვრთნელთა შორის კი პირველი ადგილი დაისაკუთრა ალექსი ტერ-კარაპეტიანმა.

- ძლიერი კონკურენტები მყავდა, მაგრამ გავიმარჯვე. მიხარია, რომ პირველ ადგილზე გავედი. მალე დაიწყება საჭადრაკო ღონისძიება - „შავი ზღვის დელფინი“ და მინდა, რომ იქაც წარმატებულად გამოვიდე, - აღნიშნა ბათუმელმა ანეტა ქედელიძემ.

- ეს ჩვენი ტრადიციული ფესტივალია, რომელშიც მონაწილეობა მოჭადრაკეებს ყოველთვის უხარიათ. მაღალორგანიზებულად ჩატარდა, რაც ჩვენი ქალაქისთვის მნიშვნელოვანი იყო, მადლობა თანადგომისთვის ფინანსურ მხარდამჭერებს, - თქვა სალომე მელიამ.


## სასწრაფო დახმარების ცენტრი - ახალ შენობაში 2

## საკრუიზო ლაინერი შიდა დაპირისპირების ახალი მიზეზი, ანუ შეფასებები აქციასთან დაკავშირებით 3

## «არ მჯერა, რომ ბათუმში ერთხელ მაინც მოხვდი და სიგიჟემდე არ შეგიყვარდეს» 5

## ბაიარ შაჰინი: ერთი სამშობლო მაქვს და ორი ქვეყნის შვილი ვარ 6


ISSN 2720-8702

9 772720 870003


## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

# ლტოლვილთა უფლებების რეალიზაციისთვის

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

***აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ბათუმის სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა პროექტის - „თემის მობილიზაცია და თანამონაწილეობა“ ფარგლებში***

შეხვედრას აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ედუარდ ნაკაშიძე და სამინისტროს დევნილთა საქმეების დეპარტამენტის უფროსი ბადრი კობალაძე ესწრებოდნენ.

პროექტს „World Vision საქართველო“ 2019 წლიდან ახორციელებს და მისი დონორი გაეროს ლტოლვილთა სააგენტოა. სამიზნე ჯგუფები არიან საქართველოში მცხოვრები თავშესაფრის მაძიებელი, ლტოლვილი, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე და მოქალაქეობის არმქონე პირები. ლტოლვილთა უფლებების რეალიზაციის კუთხით, ორგანიზაციის საქმიანობა მოიცავს ლტოლვილი პირების დახმარებას, რათა მათ შეძლონ საჭირო სერვისებზე წვდომა ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური დაცვის კუთხით. ასევე, მათი ფუნდამენტალური უფლებების რეალიზაციას და ადგილობრივ თემთან ინტეგრაციას. შეხვედრაზე მხარეებმა არსებულ ვითარებაზე, საჭიროებებსა და მათი დაძლევის გზებზე ისაუბრეს.



# პეტრას ციხის არქეოლოგიური გათხრები გრძელდება

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

***პეტრას ციხის არქეოლოგიური გათხრები სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ზაურ ახვლედიანმა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე კაკო ძნელაძესთან ერთად დაათვალიერა და მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნო***

აღსანიშნავია, რომ წელს განახლდა არქეოლოგიური კვლევა ახ. წ. VI საუკუნის ნაგებობის ჩრდილოეთ საზღვრის დასადგენად. როგორც აღმოჩნდა, აღნიშნული შენობა საკმაოდ დიდი ზომისაა, ამდენად, წელს მისი დასრულება ვერ მოხერხდება. ბიზანტიური ნაგებობის კედელი ორ ადგილას იყო ჩაჭრილი, ოსმალების ციხეში ყოფნის დროს გაკეთებული წყალშემკრები კოლექტორის ორი, კირხსნარით შელესილი და კირქვის დამუშავებული ქვებით. შემკრები კოლექტორები ციხის წყალსადინარი ოთხი ტოტიდან გამომავალ წყალს კრებდა და ციხის გარეთ ანაწილებდა. ამ უბანზე მიკვლეული არტეფაქტები მეტწილად ორი ეპოქის: ადრეშუასაუკუნეების (VI საუკუნე) და ოსმალთა ციხეში ყოფნის ეპოქებს უკავშირდება.

- ვიმედოვნებთ, რომ მომავალი გათხრებით დავასრულებთ ახ. წ. VI საუკუნის ნაგებობის კონტურების გამოვლენას, შესაბამისად, უფრო არგუმენტირებულად ვისაუბრებთ ნაგებობის როგორც ფუნქციონალურ დანიშნულებაზე, ასევე სხვა, ციხის ცენტრალურ ნაწილში განთავსებულ ნაგებობებთან ქრონოლოგიურ ურთიერთმიმართებაზე, - განაცხადა ექსპედიციის ხელმძღვანელმა, არქეოლოგმა გიორგი თავამაიშვილმა.



# სასწრაფო დახმარების ცენტრი – ახალ შენობაში

ცოტნე ცაბაძე 27 48 94

***ქედის მუნიციპალიტეტში სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“ შეუფერებელ შენობაში იყო განთავსებული. მრავალფუნქციური ევროსტანდარტების შენობის ასაგებად, რომელიც უკვე დასრულდა, შარშან ბიუჯეტიდან 344 197 ლარი გამოიყო***

ცენტრი მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ პირველ მოადგილესთან იმედა ვასაძესთან, საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა. ევროსტანდარტების შესაბამისი კაპიტალური ერთსართულიანი შენობა აღჭურვილია წყლისა და კანალიზაციის სისტემით, შიდა ელექტრომომარაგებით, ვენტილაციით, კომპიუტერული და სატელეფონო ქსელებით, ასევე, სახანძრო უსაფრთხოების სისტემით. კეთილმოეწყო ფასადი და პარკინგის ადგილი.

- სამედიცინო ინფრასტრუქტურა ქედის მუნიციპალიტეტში ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. პრობლემა იყო „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ პერსონალის შეუფერებელ გარემოში მუშაობა. ამიერიდან, მათ ევროპული სტანდარტების შესაფერისი ინფრასტრუქტურა ექნებათ, - გვითხრა როლანდ ბერიძემ.



# ბათუმში იაპონურ კულტურას და ტრადიციებს გაეცნენ

ნანა აბულაძე 577 20 35 90

***იაპონური კულტურის ფესტივალის ფარგლებში, აჭარის ხელოვნების მუზეუმს იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი ჰიროიუკი მორი ესტუმრა, რომელმაც სსიპ „აჭარის მუზეუმის“ დირექტორთან თეონა ზოიძესთან და ხელოვნების მუზეუმის მმართველთან თენგო დოლიძესთან ერთად, მუზეუმის გალერეაში იაპონური თემატიკის გამოფენა დაათვალიერა. იაპონელმა სტუმრებმა ასევე მოინახულეს აჭარის ხელოვნების მუზეუმში არსებული ქართველი და უცხოელი მხატვრების ნამუშევრები***

- ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია მეგობარ სახელმწიფოსთან ურთიერთობა და ამის გამოხატულებაა ის, რომ გამოვფინეთ იაპონიისათვის დამახასიათებელი ტრადიციისა და კულტურის ამსახველი ფოტოები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ფონდებში ინახება იაპონური საბრძოლო ხელოვნების ნიმუშები. დღეს წარმოდგენილი გვაქვს სხვადასხვა სახის ხმლები, საჩხვლეტები, კატანა, რომელიც, როგორც ვიცი, დღემდე ძალიან პოპულარულია მათ ქვეყანაში. კარგი იქნება, თუ ჩვენი ფონდები კიდევ უფრო გამდიდრდება ამ მიმართულებით. იაპონიის საელჩოს წარმომადგენლების ვიზიტი დასტურია იმისა, რომ ჩვენი მეგობრობა გაგრძელდება სამომავლოდ და უფრო მჭიდრო ურთიერთობა გვექნება ერთმანეთთან, - განაცხადა თეონა ზოიძემ.

იაპონური კულტურის ფესტივალის ძირითადი ღონისძიება ბათუმის ბულვარში გაიმართა. როგორც მისმა ორგანიზატორებმა აღნიშნეს, ფესტივალის მიზანია ორი უძველესი ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყანას - საქართველოსა და იაპონიას შორის, კულტურული ურთიერთობების გაღრმავება და ერთობლივი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა.





# ავტოპარკს 4 ავტობუსი შეემატა

ახალი, თანამედროვე სტანდარტების ავტობუსები სრულად ადაპტირებულია, აღჭურვილია გათბობისა და კონდიცირების სისტემით, დამონტაჟებულია საინფორმაციო ხმოვანი და ვიდეომონიტორინგის სისტემები.

„ჩვენ ეტაპობრივად დავიწყეთ მუნიციპალური ავტობუსების შეძენა. სამომავლოდაც გავაგრძელებთ აღნიშნული კუთხით მუშაობას და სრულად განვაახლებთ არსებულ მუნიციპალურ ავტობუსებს“, - ამბობს ქობულეთის მერი ლევან ზოიძე. მისივე თქმით, გუნდმა მიიღო გადაწყვეტილება და მუნიციპალური ავტობუსებით სარგებლობისას შეღავათიანი ტარიფით დამატებით ისარგებლებენ: უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, შშმ პირები, სოციალური სასადილოს ბენეფიციარები. აქტიურად ვმუშაობთ და მომავალშიც არაერთი სიახლის შესახებ ვაცნობებთ მოქალაქეებს. თითოეული ნაბიჯი, რომელიც გადავდგით და სამომავლოდ ვაპირებთ რომ გადავდგათ, არის მიმართული ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობისკენ“.



აქამდე არსებული შეღავათიანი ტარიფებით ასევე სარგებლობენ - სკოლის მანდატურები, ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები, 5 წლამდე ასაკის ბავშვები.

აღსანიშნავია, რომ სანდასუფთავების სამსახურმაც შეიძინა დამატებით 2 ახალი ნაგავშემკრები მანქანა. წელს დაგეგმილია კიდევ ერთი ნაგავმზიდის შესყიდვა.

ანკა ჩხიკვაძე

# პროექტი დასრულდა

ცოტნე ცაბაძე 27 48 94

***ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებითა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტი „არაფორმალური განათლების ხელშეწყობა ადგილობრივ ახალგაზრდებში“ დასრულდა***

პროექტი ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ითვალისწინებდა სასწავლო სემინარებს შემდეგი მიმართულებებით: „კიბერსივრცისა და კიბერუსაფრთხოების არსი, გამოწვევები და შესაძლებლობები“; „ევროატლანტიკური პროცესის მნიშვნელობა და პერსპექტივები“; „კომუნიკაციების სტრატეგიები და გამოწვევები მედიაწიგნიერების კონტექსტში“.

სემინარის აქტიური და წარმატებული მსმენელებისთვის მოეწყო საინფორმაციო-გაცნობითი ტური, რომლის ფარგლებში ახალგაზრდებმა მოინახულეს საბანელასა და მწვანე ტბები, კურორტი ბეშუმი და გოდერძის ალპური ბაღი. ტურის ფარგლებში ჩატარდა ინტელექტუალური და სპორტული თამაშებიც.

# საკრუიზო ლაინერი შიდა დაპირისპირების ახალი მიზეზი, ანუ შეფასებები აქციასთან დაკავშირებით

ხატია იაშვილი 555 18 48 88

*31 ივლისს, გამთენიისას, ბათუმის პორტში შემოსულმა საკრუიზო ლაინერმა, რომელზეც რუსი ტურისტები იმყოფებოდნენ, უკვე მეორედ, ქალაქი ხმაურის ფონზე დატოვა, მანამდე კი ნავსადგურში მთელი ღამის განმავლობაში შეკრებილი იყო მოსახლეობა, რომელიც გემის შემოსვლას ელოდა, თან აპროტესტებდა*

ტერიტორიას სამართალდამცველები აკონტროლებდნენ, მათსა და აქციის მონაწილეებს შორის ორმაგი ჯებირი იყო აღმართული. სწორედ ამ ჯებირის გარღვევას ცდილობდნენ შეკრებილები. წესრიგის დარღვევის გამო პოლიციამ 23 პირი დააკავა. მათ სასამართლო პროცესს, რომელიც მომდევნო დღეს გაიმართა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ალექსანდრე გოგუაძე უძღვებოდა. მან 23 პირიდან 15-ის საქმე განიხილა. დაკავებულები სხდომის დარბაზიდან ხელწერილის საფუძველზე გათავისუფლდნენ. დაკავებულთა ნაწილი გუშინ გაუშვეს სასამართლო დარბაზიდან. პროცესზე მოსამართლემ მხარეებს მტკიცებულებათა მოსაპოვებლად დამატებითი დრო მისცა. ბრალდებულები აცხადებდნენ, რომ ბათუმის პორტთან აქციაზე, დაკავებისას სამართალდამცავების მხრიდან ძალის გადამეტებას ჰქონდა ადგილი. დაკავებულთა ნაწილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ძალოვანებმა დაზიანებები ფეხისა და მუცლის არეში მიაყენეს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი ლევან ანთაძე, რომლის ვაჟი, ილია ანთაძეც, აქციაზე დააკავეს, ყველა მოძალადე პოლიციელის დასჯას მოითხოვს. როგორც ის აღნიშნავს, მოქალაქეებისთვის დაზიანებების მიყენება პოლიციას სწორედ „რუსულმა ოცნებამ“ დაავალა. „ფაქტი ერთია, აქ ბრძანება ჰქონდათ ამ რუსი „ქოცებიდან“, რომ რაც შეიძლება მძიმე დაზიანებები მიეყენებინათ დაპატიმრებულებისთვის, ამას მაქსიმალურად ასრულებდნენ ჩვენი, აჭარის მილიციის ზონდერები, ხელმძღვანელები. სპეცრაზმი ჰყავდათ შემოყვანილი, რომლის საქმე ადამიანების დარბევა კი არა, კრიმინალთან ბრძოლაა. ხელმძღვანელით დაწყებული, ბოლო პოლიციელის ჩათვლით, ყველა, ვინც ძალადობდა, უნდა დაისაჯოს, რომ არ გადავაქციოთ საქართველო „გრუზიად“ და „ღორების ქვეყნად“, - განაცხადა ლევან ანთაძემ.

ხელისუფლების წევრების უმრავლესობა პორტში მომხდარ ინციდენტს სწორედ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პროვოკაციად აფასებენ და ხელისუფლებაში მათი ყოფნის პერიოდს ახსენებენ. პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერის, გია ვოლსკის თქმით, შეიძლება, გულწრფელადაც იყო აქციაზე ვინმე მისული, მაგრამ ეს არის ხალხი („ნაცმოძრაობა“), ვინც კუდის ქიცინით ხვდებოდა რუსეთიდან შემოსულ არა მარტო ტურისტებს, არამედ ეკონომიკას და მთელი საქართველოს სტრატეგიული ობიექტები რუსეთს მიჰყიდა. „ახლა ზუსტად იგივე ხალხი აპროტესტებს, იმ გაგებით, რომ თურმე ლაინერზე არიან ადამიანები, ვინც დაარღვია ოკუპაციის შესახებ კანონი, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ჩვენ რუსებთან, როგორც პოლიტიკურად, ასევე მორალურად ყოველთვის მართლები ვიყავით 90-იანი წლებიდან მოყოლებული. ამ სტრატეგიულ დაპირისპირებას ჩვენსა და რუსეთს შორის აქვს გარკვეული განზომილებები, სადაც „ნაცმოძრაობა“ არანაირად არ მოიაზრება, როგორც რაიმე პოზიტივის მატარებელი. ამ ურთულეს სიტუაციაში ის პოლიტიკა, რასაც „ნაცმოძრაობა“, ანუ გუშინ რუსეთისადმი მლიქვნელური პოლიტიკური ძალა ატარებს, დამაზიანებელი და სერიოზული ზიანის მომტანია ჩვენი ქვეყნისთვის. მადლობა ღმერთს, რომ ბევრნი არ არიან, თუმცა ხმაური და გადაცდომები, მათ შორის პოლიციასთან მათი დამოკიდებულება საკმაოდ თვალში საცემია“, - განაცხადა ვოლსკიმ.



საკრუიზო ლაინერ „Astoria Grande“-ს ბათუმის ნავსადგურში შემოსვლას გამოეხმაურა აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი ლადო მგალობლიშვილი. მისი თქმით, რუსეთთან საზღვრის ჩაკეტვა ეკონომიკურ



კრიზისს გამოიწვევს. „აგვისტოს ომის დასრულებიდან რამდენიმე დღეში, 3 სექტემბერს, სააკაშვილმა რუსეთის მოქალაქეებს სავიზო რეჟიმი რომ გაუმარტივა, ეს რა იყო, მონობა თუ ღალატი? ამიტომ



არ სჯერა „ნაცმოძრაობის“ არავის, რაც საპროტესტო აქციებს აშკარად ეტყობა. მეამაყება, რომ აჭარიდან რუსული ჯარის გასვლის და გაცილების ყველა აქციაში მივიღე მონაწილეობა ბათუმში. ამ სიტუაციას რაც შეეხება, რუსეთის მოქალაქე გემით შემოვა, ფაეტონით თუ ველოსიპედით, არ აქვს ამას დიდი მნიშვნელობა. საკითხი უფრო მარტივადაა, ან უნდა ჩავკეტოთ საზღვარი, ან - არა. ვფიქრობ, საზღვრის ჩაკეტვა ასიათასობით საქართველოს მოქალაქეს ძალიან დაარტყამს ეკონომიკურად“, - განაცხადა ლადო მგალობლიშვილმა.



- ის, რაც გუშინ ხდებოდა ჩვენს ქალაქში, საბედნიეროდ, იყო კიდევ ერთი, მორიგი აქცია კოლექტიური

*„ბრძანება ჰქონდათ ამ რუსი „ქოცებიდან“, რომ რაც შეიძლება მძიმე დაზიანებები მიეყენებინათ დაპატიმრებულებისთვის, ამას მაქსიმალურად ასრულებდნენ ჩვენი, აჭარის მილიციის ზონდერები, ხელმძღვანელები*

„ნაცმოძრაობის“. დაახლოებით 150-160 კაცი აპროტესტებდა ტურისტების შემოსვლას ბათუმში და სრული დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ აქედან 90% წარმოადგენდა „ნაცმოძრაობას“ და მათ დანაყოფ პარტიებს. მათ შორის იყვნენ რუსეთის წიაღში გამოზრდილი კონკრეტული სუბიექტები. მინდა შეკითხვა დავსვა: რა განსხვავებაა იმ ტურისტებს შორის, რომლებიც ჩვეულებრივ შემოდიან საკრუიზო ლაინერით და იმ ტურისტებს შორ-

*„იგივე ხალხი აპროტესტებს, იმ გაგებით, რომ თურმე ლაინერზე არიან ადამიანები, ვინც დაარღვია ოკუპაციის შესახებ კანონი, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს*

ის, რომლებიც შესაძლოა, შემოდიოდნენ ლარსიდან, სხვადასხვა საზღვრიდან, ან თვითმფრინავით ჩამოდიან ჩვენს ქალაქში, მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. ეს ყველაფერი მიზანმიმართული კამპანიაა, რომ ის მიმდინარე, წარმატებული ტურისტული სეზონი, რაც ასე უკლავს გულს ჩვენს მტრებს, როგორმე დააზიანონ. არაკეთილმოსურნეთა იმ კამპანიის პასუხადაც, რომელიც თვეების განმავლობაში მიდის და შეეხება ზღვის წყლის ხარისხს, მინდა ვთქვა, რომ 10 დღეში ერთხელ პირადად ვაკონტროლებ, ზღვ-

*„რუსეთის მოქალაქე გემით შემოვა, ფაეტონით თუ ველოსიპედით, არ აქვს ამას დიდი მნიშვნელობა. საკითხი უფრო მარტივადაა, ან უნდა ჩავკეტოთ საზღვარი, ან - არა*

ის წყლის ხარისხს, რომ დამატებითი სპეკულაციების საშუალება არ მივცეთ ამ მტრულად განწყობილ ძალებს. მინდა ყველას შევახსენო, რომ 2008 წლის ომის შემდეგ, რომელმაც უდიდესი ზიანი მოუტანა ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენს გმირ ჯარისკაცებს და მათ გმირ ოჯახებს, ლაჩარი სააკაშვილი აგრძელებდა რუსების მოპატიჟებას, ომის წლისთავზე. სწორედ ის აპირებდა ქართული კულტურის დღეების გამართვას და კამპანიების წარმოებას ამ მიმართულებით. სწორედ ამ ადამიანის მმართველობის დროს რუსეთთან უვიზო რეჟიმი შეიცვალა ცალმხრივად და ასევე, ძალიან კარგად გვახსოვს ის კადრები, როცა ლარსზე პირადად ხვდებოდა და ეპატიჟებოდა რუს ტურისტებს ჩვენს ქვეყანაში. ე.წ. ოპოზიციის, ხალხის მტრების მიზანია, როგორმე ჩავარდეს სეზონი. ეს, პირველ რიგში, დაარტყამს ჩვენი მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას და მათი მთავარი ამოცანა ის არის, რომ ხალხი კიდევ უფრო გააღარიბონ, შეუმცირონ შემოსავლები, განსაკუთრებით პანდემიის შემდგომ და მერე უკვე გამოიყენონ ხალხის სოციალური უკმაყოფილება. ეს ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ აღნიშნულ აქციასთან დაკავშირებით აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში.

*„მათი მთავარი ამოცანა ის არის, რომ ხალხი კიდევ უფრო გააღარიბონ, შეუმცირონ შემოსავლები, განსაკუთრებით პანდემიის შემდგომ და მერე უკვე გამოიყენონ ხალხის სოციალური უკმაყოფილება. ეს ჩვენ ძალიან კარგად გვესმის*

შეგახსენებთ, რომ გავრცელებული ინფორმაციით, საკრუიზო ლაინერის Astoria Grande მომდევნო მარშრუტებში ბათუმის პორტი აღარ შედის. ეს კი ალბათ იმას ნიშნავს, რომ მომდევნო საპროტესტო აქციის მონაწილეები არ ვიქნებით, მაგრამ როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გურამ გურამიშვილმა განაცხადა, ტურიზმი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სექტორია, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკის ზრდაში და არ შეიძლება მის მიმართ შერჩევითი, სატრანსპორტო საშუალების მიხედვით მიდგომა. „ტურისტებისთვის გზა გახსნილია როგორც საავტომობილო, ისე საჰაერო მიმოსვლისთვის. აუცილებელია, რომ ქვეყანა პოზიციონირებდეს საზღვაო მიმოსვლის თვალსაზრისითაც და აითვისოს ის პოტენციალი, რომელიც მას ტურიზმის დარგში საზღვაო მიმართულებით აქვს“, - აღნიშნა მინისტრის მოადგილემ, რომლის კომენტარს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ავრცელებს.

მისივე თქმით, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო შემოსავლების სამსახურთან ერთად სანქციებთან მიმართებით პერმანენტულად ახორციელებს ქვეყანაში შემოსული გემების სკრინინგს. შესაბამისად, საკრუიზო ლაინერი Astoria Grande, რომელიც საქართველოს წყლებში იმყოფებოდა, არ არის რომელიმე ქვეყნის მიერ სანქცირებული, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალაუს დროშის ქვეშ მცურავი საკრუიზო ლაინერი მსოფლიოს სხვადასხვა ნავსადგურში თავისუფლად გადაადგილდება.

## უცხოეთი

ვთხოვთ ყველა ჩვენს პარტნიორს, მოუწოდონ რუსეთს, დაუბრუნდეს მოლაპარაკებებს და შეწყვიტოს უკრაინის სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურაზე თავდასხმები. ერთად შეგვიძლია „შავი ზღვის მარცვლეულის ინიციატივაში“ რუსეთის დაბრუნებას მივაღწიოთ, - განაცხადა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა და ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა ჟოზეფ ბორელმა. როგორც ის აღნიშნავს, რუსეთმა სურსათის იარაღად გამოყენება უნდა შეწყვიტოს. „რუსეთის უპასუხისმგებლო ქმედებების საპასუხოდ, ევროკავშირი „შავი ზღვის მარცვლეულის ინიციატივის“ განახლებისთვის გაეროსა და თურქეთის დაუღალავი ძალისხმევის მხარდაჭერას აგრძელებს“, - დასძინა ბორელმა.

* * *

რუსეთმა ბალტიის ზღვაში საზღვაო წვრთნები დაიწყო, რომელშიც ქვეყნის საზღვაო ძალების 30-ზე მეტი სამხედრო ხომალდი და კატერი, საზღვაო ავიაციის 30 თვითმფრინავი და დაახლოებით 6000 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს, - ინფორმაციას რუსული მედია თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით ავრცელებს. „2 აგვისტოდან ბალტიის ზღვის წყლებში, სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდალ, ადმირალ ნიკოლაი ევმენოვის ხელმძღვანელობით, საზღვაო სწავლება „ოკეანის ფარი-2023“ იმართება“, - აცხადებენ სამინისტროში.

* * *

ორმა ბელარუსულმა ვერტმფრენმა პოლონეთის საჰაერო სივრცე დაარღვია. განცხადებას პოლონეთის თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს. ბელარუსულმა ვერტმფრენებმა საზღვარი ძალიან დაბალ სიმაღლეზე დაარღვიეს, რამაც რადიოლოკაციური სისტემებით ამის აღმოჩენა გაართულა. პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა საზღვარზე სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობის გაზრდის ბრძანება გასცა. პოლონეთის მთავრობამ აღნიშნული ინციდენტის შესახებ ნატოს შეატყობინა, მომხდარის ასახსნელად პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ბელარუსის დროებითი რწმუნებული დაიბარეს.

* * *

უკრაინისთვის დახმარების მიზნით, სლოვაკეთმა „სოლიდარობის დერეფნის“ გახსნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ქვეყნის სოფლის მეურნეობის მინისტრის თქმით, მსოფლიო ბაზრებზე უკრაინული მარცვლეულის გატანა საავტომობილო, სარკინიგზო და საზღვაო გზების გამოყენებით უნდა მოხდეს. „სლოვაკეთი ცდილობს, მაქსიმალურად დაეხმაროს უკრაინას ინფრასტრუქტურის სფეროში იმისთვის, რომ ტრანსპორტირების პირობები რაც შეიძლება გამარტივდეს და მარცვლეული სწრაფად მოხვდეს იქ, სადაც ყველაზე საჭიროა“, - განაცხადა მინისტრმა იოჟეფ ბირეშმა.

მოამზადა
ია შველიძე

# ქართველმა მწერლებმა და გამომცემლებმა გენრი დოლიძეს მხარდაჭერა გამოუცხადეს – პოეტი თავისუფალია

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*განცხადებაში, რომელსაც 70-ზე მეტი ადამიანი აწერს ხელს, აღნიშნულია, რომ ბათუმელი პოეტი გენრი დოლიძე მოძალადე პოლიციური სისტემის კიდევ ერთი მსხვერპლია. ის დააკავეს მაშინ, როცა ოკუპაციის კანონდამრღვევი რუსი ტურისტებით სავსე გემის ბათუმში შემოსვლას აპროტესტებდა*

გენრი დოლიძე, რომელიც ბათუმში პარტია „დროას“ ორგანიზაციის თავმჯდომარეა, ამბობს, რომ დაკავებისას პოლიციელებმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. კერძოდ, ქვაფენილზე დააწვინეს და ფეხებით შედგნენ. მისივე თქმით, ადგილზე მივიდა ბათუმის სამმართველოს უფროსი ირაკლი დგებუაძე, რომელმაც ამოიცნო გენრი დოლიძე და როდესაც დარწმუნდა მის ვინაობაში, დედა შეაგინა და თვალის არეში წიხლი მიარტყა.

„პოლიციამ უკვე არაერთხელ აირჩია ქართველი მწერლების მიმართ სასტიკი და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფორმები. ამ შემთხვევაში, როგორ ჩანს, პოლიციელები განსაკუთრებით გააღიზიანა გენრი დოლიძის ბოლოდროინდელმა სამოქალაქო აქტივობამაც. ქართველი მწერლები, მთარგმნელები და გამომცემლები ვგმობთ გენრი დოლიძის სასტიკად ცემის ფაქტს (რამდენიმე სახის დაზიანება უკვე ექსპერტიზის მიერაა დადასტურებული) და მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, უსწრაფესად გამოიძიოს ეს საქმე და მკაცრად დასაჯოს მოძალადეები“, - ვკითხულობთ ერთობლივ განცხადებაში.



- გენრი დოლიძეც დააკავეს რუსული საკრუიზო გემის ბათუმში შემოსვლის გაპროტესტების დროს. გენრი, ცუდად ნამდვილად არ ჩაივლის შენი სულისკვეთება და აუცილებლად მოიტანს შედეგს ჩვენი ქვეყნისთვის. რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, სრული სოლიდარობა - შენ და ყველა დაკავებულს. საქართველოში რუსეთს მომავალი არ აქვს, - ასე ეხმაურება გენრის დაკავებას პოეტი ნიკა ჩერქეზიშვილი.

- ბათუმის კრიმინალური პოლიციის უფროსი ირაკლი დგებუაძე ის კაცია, სამჯერ რომ დამაკავა. ორჯერ სასამართლომ შუამდგომლობა არ დამიკმაყოფილა და სულ სხვა პირები დაჰკითხა მოჩვენებით, მესამე შემთხვევაში, ჩემდა გასაკვირად, დაკმაყოფილდა შუამდგომლობა და დაიკითხა. მობუნძულდა და თავჩახრილმა ტყუილები შეთხზა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წინა ორ შემთხვევაში ორივე ინსტანციის სასამართლო მოვუგე, მესამე არ დასრულებულა. ჰოდა... რისი თქმა მინდა... ვინც გულის სიღრმეში არ მეთანხმებოდით, რომ ერთი ჩვეულებრივი ქოცი/რუსი არარაობაა, ახლა ალბათ ყველა დაგარწმუნათ მისმა ქმედებებმა. ვუყურებდით, როგორ სცემდა და აგინებდა დაკავებებისას აქტივისტებს, მაგალითად, გენრი დოლიძეს, რომელიც ხელბორკილდადებული წააქციეს, დგებუაძე ფეხებით შედგა და ისე ურტყამდა! გენრის ამით არაფერი დააკლდება, აი, ირაკლი კი მოღალატის სტატუსით ჩაიწერება ისტორიაში. დღეს მოსამართლე სასამართლო პროცესის გადადებას 8 აგვისტოსთვის აპირებდა და მოპასუხე მხარემ - ოღონდ 8 აგვისტო არა და ნებისმიერი დღე იყოს, რვაში არ გვცალიაო. იქვე არ დავუფიქრდი და მერე მივხვდი, „გაუტყდათ“ - რუსეთ-საქართველოს ომის თარიღია და რუსული გემის გამო დაკავებული კაცი სასამართლოში კიდევ უფრო გაგვარუსებსო, - ამბობს ანტიკორუფციული მოძრაობის დამფუძნებელი ლევან გორგილაძე.

რა თქმა უნდა, დავინტერესდით გენრის მდგომარეობით და მის მეუღლეს, „ფორმულას“ ჟურნალისტ თამარ თედიაშვილს დავუკავშირდით. როგორც მან გვითხრა, სასამართლო შედგა, საკითხი გადაიდო, გენრი კი გაათავისუფლეს.

მოგვიანებით, გენრი დოლიძემ თავის სოციალურ გვერდზე სურათი გამოაქვეყნა, სადაც სახეზე დაზიანებები ეტყობა.



„ეს ბათუმის კრიმპოლის უფროსის ირაკლი დგებუაძის ფეხის კვალია 48 საათის შემდეგ, რომელიც ჩამარტყა ლაჩრულად, დაკავებულს, მიწაზე დაგდებულს, ბორკილებდადებულს, ექვსი სპეცრაზმელი რომ მიჭერდა. ჩარტყმამდე დედა შემაგინა... აგინებდა ყველა დაკავებულს უშვერი სიტყვებით, ენითართქმული სიბილწით მკვდარზე და ცოცხალზე“, - წერს იგი.

- დამაკავეს სრულიად უწყინარ სიტუაციაში, როდესაც აფხაზეთის ომის ვეტერანს, სოხუმელს და დღეს უკვე ჩვენს კარგ ბათუმელს - კონჯის გამოვესარჩლე, პოლიციას მოვუწოდებდი, სავსებით ზრდილობიანად, რუსების გამო ნუ აკავებთ ომის ვეტერანს-მეთქი და გავიძახოდი მხოლოდ ორ სიტყვას, „ომის ვეტერანია“... დაკავების შემდეგ ადგილი ჰქონდა ძალადობას და არაადამიანურ, ღირსების შემლახავ მოპყრობას. გამოძიება დაწყებულია. მიუხედავად იმისა, რომ ამის გარდა სხვა ადგილებზეც მაქვს ძალადობის კვალი, სადაც, რა თქმა უნდა, უფრო გამეტებით მირტყამდნენ. ჩემთვის ღირსების შელახვა ის უფროა, ბათუმში რომ ქართველმა პოლიციელმა რუსის გამო და აფხაზეთის ომის ვეტერანზე გამოსარჩლების გამო ენით უთქმელი სიტყვებით შემამკო და რუსული ჩექმა მითავაზა. მადლობა ყველას, ვინც სოლიდარობა გამომიცხადეთ და გვერდში დამიდექით. თქვენ მე მაძლიერებთ. უპირველესი მადლობა სენაკის იზოლატორის თანამშრომლებს, ასევე, ჟურნალისტებს, პარტია „დროას“ გუნდს, რომელმაც უდიდესი თანადგომა გამიწია, სახალხო დამცველის აპარატს, ჩემს ბათუმელ მეგობრებს, კოლეგებს, ქართველ მწერლებს, მთარგმნელებსა და გამომცემლებს, რომლებმაც განცხადება გააკეთეს. მადლობა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, ოთარ ჭანტურიძეს, ირაკლი შარაძეს და, რა თქმა უნდა, მთავარი მადლობა იმ ხალხს, ვინც ბათუმის ზღვაში რუსი პროპაგანდისტების ლივლივს ხელი შეუშალა, - გვითხრა გენრი დოლიძემ.

## უკრაინა

უკრაინის დაზვერვის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, დროებით ოკუპირებულ ყირიმში მოსახლეობის მხრიდან რუსული ჯარისთვის წინააღმდეგობის გაწევა მატულობს. უწყების პრესსამსახურის ცნობით, ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე საოკუპაციო კონტინგენტსა და პროუკრაინულად განწყობილ მოსახლეობას შორის წინააღმდეგობა მკვეთრად არის გაზრდილი. „სისტემატური ხასიათი აქვს „მოლოტოვის კოქტეილების“ გამოყენებით რუსეთის სამხედრო ობიექტებზე თავდასხმებს. ორგანიზატორები და შემსრულებლები სამოქალაქო პირები არიან, რომლებიც უკრაინას უჭერენ მხარს“, - ნათქვამია განცხადებაში.

* * *

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პოლონეთის პრეზიდენტის მრჩევლის „მიუღებელი“ კომენტარების გამო ქვეყნის ელჩი უწყებაში დაიბარა. „შეხვედრისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ განცხადებები პოლონეთის მხარდაჭერის მიმართ უკრაინელების ვითომ უმადურობის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება და მიუღებელია“, - განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა ოლეჰ ნიკოლენკომ. ცნობისათვის, ბარტაშ ჩიხოცკი შეხვედრაზე მას შემდეგ დაიბარეს, რაც ანჯეი დუდას მრჩეველმა მარჩინ ფშიდაჩმა განაცხადა, რომ უკრაინამ უნდა დაიწყოს იმ როლის დაფასება, რასაც პოლონეთი კიევის დახმარებაში ასრულებს.

* * *

რუსულმა ძალებმა კიევზე დრონებით ახალი თავდასხმა განახორციელა, უკრაინის თავდაცვის ძალებმა ყველა დრონი ჩამოაგდეს, - ინფორმაციას უკრაინული მედია კიევის საქალაქო-სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ, სერგეი პოპკოზე დაყრდნობით ავრცელებს. კერძოდ, მისი თქმით, განადგურებულია 10-ზე მეტი დრონი. „ყველა საჰაერო სამიზნე - 10-ზე მეტი უპილოტო საფრენი აპარატი - საჰაერო თავდაცვის ძალებმა და საშუალებებმა დროულად აღმოაჩინეს და გაანადგურეს“, - აღნიშნა პოპკომ. მისი თქმით, დრონების ნამსხვრევები კიევის რამდენიმე რაიონში ჩამოვარდა. „დაზიანებულია არასაცხოვრებელი შენობა და ტროტუარი. არანაირი სერიოზული დაზიანება არ ყოფილა. დაშავებულების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება“, - განაცხადა პოპკომ.

* * *

რუსულმა ძალებმა გუშინ, დილით ოდესის პორტსა და მარცვლეულის საწყობებზე დრონებით თავდასხმა განახორციელეს, რის გამოც, ზოგიერთ მათგანში ხანძარი გაჩნდა, - ამის შესახებ ოლქის გუბერნატორი, ოლეჰ კიპერი „ტელეგრამში“ წერს. მისი თქმით, მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ გავრცელებულა. შეგახსენებთ, რუსეთმა უკრაინის სასოფლო-სამეურნეო და საპორტო ინფრასტრუქტურაზე თავდასხმები მას შემდეგ გააძლიერა, რაც შავი ზღვის მარცვლეულის შეთანხმების გაგრძელებაზე უარი განაცხადა.

* * *

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე პაველ იაბლონსკის განცხადებით, უკრაინასთან ურთიერთობა ბოლო დროს საუკეთესო არ არის და არ არსებობს შეთანხმება ბევრ საკითხზე. პაველ იაბლონსკიმ უკრაინის საელჩოს წარმომადგენელთან დაგეგმილ შეხვედრაზეც ისაუბრა, რომელიც, ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო, უწყებაშია დაბარებული. „საუბარი იქნება ძალიან გულწრფელი, ძალიან კონკრეტული, როგორც ყოველთვის. გადავცემთ ჩვენს შეფასებებს, როგორ გამოიყურება დღეს ჩვენი ურთიერთობები, რაც, სამწუხაროდ, უკრაინის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის ბოლოდროინდელი განცხადებების გამო, არ არის საუკეთესო და ამას არავინ მალავს“, - აღნიშნა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ. მისი თქმით, უკრაინის წარმომადგენლებს გარკვეულმა ემოციებმა სძლიეს, თუმცა პოლონეთი შემწყნარებლობას იჩენს, რადგან უკრაინა არის ქვეყანა, რომელსაც თავს დაესხნენ. ამასთან, პაველ იაბლონსკი ხაზს უსვამს, რომ უკრაინამ, ასევე, არ უნდა შეუტიოს თავის მოკავშირეებს. „ჩვენ ვხელმძღვანელობთ პოლონეთის ეროვნული ინტერესების პოლიტიკით. ჩვენ მხარს ვუჭერთ უკრაინას იმდენად, რამდენადაც ეს პოლონეთის ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება. ასე იყო და იქნება ყოველთვის“, - დასძინა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

* * *

უკრაინის შეიარაღებული ძალების გენშტაბის განცხადებით, უკრაინის არმია ბახმუტის მიმართულებაზე შეტევით მოქმედებებს განაგრძობს. უწყების ცნობით, რუს სამხედროებს ბახმუტის სამხრეთით პოზიციების დატოვება მოუწიათ, მიმდინარეობს მძიმე ბრძოლები. „ბახმუტის მიმართულებით ვაგრძელებთ შეტევით მოქმედებებს, მოწინააღმდეგეს ვაიძულეთ ანდრეევკასთან არსებული პოზიციების დატოვება. მას, ასევე, ჰქონდა კლეშეევკასთან და კურდიუმოვკასთან დაკარგული პოზიციების დაბრუნების წარუმატებელი მცდელობა. გრძელდება მძიმე ბრძოლები“, - ნათქვამია განცხადებაში. შეტევითი ოპერაცია გრძელდება მელიტოპოლის და ბერდიანსკის მიმართულებებზეც. გენერალური შტაბის განცხადებით, რუს სამხედროებს მნიშვნელოვანი დანაკარგები აქვს პირად შემადგენლობაში, შეიარაღებასა და ტექნიკაში, მაგრამ ისინი აგრძელებენ ძლიერი წინააღმდეგობის გაწევას, ქვედანაყოფების და ჯარების გადაადგილებას და რეზერვების ამოქმედებას.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი მსოფლიო საზოგადოებას მოუწოდებს, რუსეთის მიერ უკრაინული მარცვლეულის საწყობების დაბომბვაზე რეაგირება მოახდინონ. „ომის კიდევ ერთი ღამე, ჩვენი გმირი საჰაერო თავდაცვის ძალების შრომის კიდევ ერთი ღამე! ჩვენ ვიცავთ თავს ჩვენს ხელთ არსებული ძალების მაქსიმუმით. ჩამოგდებულია ბევრი „შაჰედი“. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ ყოფილა. სამწუხაროდ, არის დაზიანება. ყველაზე მნიშვნელოვანი - ქვეყნის სამხრეთით“, - წერს ზელენსკი „ტელეგრამზე“. მისი თქმით, რუსეთი, რომელიც საფრთხეს უქმნის გლობალურ სასურსათო უსაფრთხოებას, უნდა შეაჩერონ. „რუსი ტერორისტები კვლავ ესხმიან თავს პორტებს, მარცვლეულს, გლობალურ სასურსათო უსაფრთხოებას. მსოფლიომ ამას უნდა უპასუხოს. როდესაც სამიზნე სამოქალაქო პორტებია, როდესაც ტერორისტები განზრახ ანადგურებენ ელევატორებსაც კი, ეს საფრთხეა ყველასთვის ყველა კონტინენტზე. რუსეთის შეჩერება შესაძლებელია და რუსეთი უნდა შეჩერდეს“, - აცხადებს ზელენსკი.

* * *

„მოსკოვის საქმიან ცენტრში მაღალსართულიან შენობას, რომელშიც სამი სამინისტროა განთავსებული, ბოლო სამ დღეში უკვე მეორედ შეეჯახა უკრაინული სამხედრო დრონი. რუსეთში ამას „უკრაინის ტერორისტული თავდასხმის მცდელობას“ უწოდებენ, ქართველ სამხედრო ანალიტიკოსთა შეფასებით კი ასეთი საჰაერო შეტევები რუსეთის ტერიტორიაზე ახლო მომავალში უფრო ხშირი და მასშტაბური გახდება. ამ მხრივ განსაკუთრებულ მოვლენებს 24 აგვისტოს, უკრაინის დამოუკიდებლობის დღეს უნდა ველოდოთ“, - წერს გაზეთი „რეზონანსი“ სტატიაში სათაურით „მეორე დარტყმა მოსკოვზე ბოლო სამ დღეში - გადადის თუ არა ომი რუსეთის ტერიტორიაზე“. „1-ლი აგვისტოს საჰაერო დარტყმის შედეგად დაზიანებულ შენობაში რუსეთის სამი სამთავრობო უწყებაა განთავსებული: ეკონომიკის განვითარების, ინდუსტრიისა და ვაჭრობის; ასევე ციფრული სამინისტროები. „როიტერის“ მიერ გავრცელებულ ვიდეოკადრებში ჩანს შენობის შუშის ფასადის ნაწილი, რომელიც დარტყმის შედეგად დაზიანებულია. აღსანიშნავია, რომ ამავე შენობაზე უკრაინული დრონების შეტევა 30 ივლისსაც მოხდა. უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ორი დღის წინ განაცხადა, რომ ომი თანდათან რუსეთის ტერიტორიაზე გადავა. „უკრაინა ძლიერდება. თანდათან ომი ბრუნდება რუსეთის ტერიტორიაზე - მის სიმბოლურ ცენტრებსა და სამხედრო ბაზებზე და ეს გარდაუვალი, ბუნებრივი და აბსოლუტურად სამართლიანი პროცესია“, - აღნიშნა ზელენსკიმ, უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველმა მიხაილო პოდოლიაკმა კი 1-ლი აგვისტოს თავდასხმის შემდეგ თქვა, რომ მოსკოვი „უფრო მეტ ომს უნდა ელოდეს“, - აღნიშნავს გამოცემა.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძემ**

# „არ მჯერა, რომ ბათუმში ერთხელ მაინც მოხვდე და სიგიჟემდე არ შეგიყვარდეს“

**მარიამ ხითარიშვილი 27 48 93**



*ჩვენი ბლიცინტერვიუს დღევანდელი სტუმარი ბათუმელი იუმორისტი, შოუმენი და წამყვანი* ***დავით მოისწრაფიშვილია.*** *ეს ნიჭიერი ახალგაზრდა თავის იუმორს აჭარული დიალექტით წარმოაჩენს, სოციალურ ქსელებში საკმაოდ პოპულარულია და მოწონებასაც იმსახურებს.*

**- დავიბადე...**

- 1991 წლის 12 სექტემბერს ბათუმში.

**- ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია...**

- ჩემი ოჯახი.

**- საქართველოში რომ არ დავბადებულიყავი, დავიბადებოდი...**

- საქართველოს მეზობლად, ახლოს რომ ვყოფილიყავი ჩემს უსაყვარლეს ქვეყანასთან.

**- დილა იწყება...**

- „კოფეთი“...

**- საყვარელი ადგილი...**

- ჩემი სახლი.

**- ბავშვობაში მინდოდა...**

- ჰოლივუდში მოხვედრა.

**- სიტყვა, რომელსაც ხშირად ვიყენებ...**

- გამარჯობა.

**- ყველაზე კარგი რჩევა, რომელიც მოუციათ...**

- ნუ მიგაქვს ყველაფერი გულთან.

**- ცნობილი ადამიანები, რომლებსაც პირადად ვიცნობ...**

- ძალიან ბევრია.

**- საყვარელი მუსიკალური მიმდინარეობა და შემსრულებელი...**

- მუსიკა ჩემთვის ჟანრის დაკონკრეტებას არ მოითხოვს, ყველა ჟანრის მუსიკას ვაფასებ.

**- ბოლოს წავიკითხე...**

- ნოდარ დუმბაძის „ქელეხი“.

**- მოგონება ბავშვობიდან...**

- 6 თვის ვიყავი, როცა ხარჩო მაჭამეს. დღემდე ხარჩოზე ვარ.

**- ჩემზე ამბობენ...**

- აჭარელიაო.

**- არასოდეს...**

- დავლევ რძეს.

**- მეშინია...**

- მაკარონის.

**- ვიბრძოლებ...**

- წარმატებისთვის.

**- განვიცდი...**

- ადამიანების გაჭირვებას.

**- სხვებისგან განვსხვავდები...**

- ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და განსხვავდება ერთმანეთისგან.

**- ვმალავ...**

- გულისტკივილს.

**- ბავშვობაში მეგონა...**

- რომ მასწავლებლები „საჭირო ოთახში“ არ დადიოდნენ.

**- დღე, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა...**

- როცა დავოჯახდი.

**- 10 წლის შემდეგ...**

- იმედს ვიტოვებ, რომ ჩემს ქვეყანას გაბრწყინებულს და გაერთიანებულს ვნახავ.

**- მჯერა...**

- რომ ყველაფერი კარგად იქნება.

**- არ მჯერა...**

- რომ ბათუმში ერთხელ მაინც მოხვდე და სიგიჟემდე არ შეგიყვარდეს.

**- ვაპროტესტებ...**

- ძალადობას.

**- მინდა ვიყო...**

- უჩინარი.

**- მინდა გავიცნო...**

- მარკ ცუკერბერგი.

**- ფრაზა, რომელსაც ხშირად ვიყენებ...**

- ყველაფერი კარგად იქნება.

**- ბოლოს ვიტირე...**

- 2 დღის წინ, როცა ხახვი დავჭერი.

**- სიტყვა, რომელიც არ მიყვარს...**

- გაუზრდელი.

**- საკუთარ თავში მომწონს...**

- ის, რომ მაქვს მოთმენის უნარი.

**- საკუთარ თავში არ მომწონს...**

- გულჩათხრობილი და ზედმეტად ემოციური ვარ.

**- სხვებში ვაფასებ...**

- ადამიანობას და პატიოსნებას.

**- მაღიზიანებს...**

- როცა მაღვიძებენ.

**- ყველაზე რთული პერიოდი...**

- როცა აბიტურიენტი ვიყავი. მაგ დროს გარდამეცვალა მამაც და ძალიან გამირთულდა ყველაფერი.

**- საკუთარ თავში შევცვლიდი...**

- უფრო გაბედული გავხდებოდი.

**- ყველაზე ბედნიერი ვარ...**

- როცა კარგ საქმეს ვაკეთებ და მას შედეგიც კარგი მოაქვს. როცა ხალხის სიყვარულს ვგრძნობ, ვბედნიერდები და ძალებიც მემატება.

**- ნივთი, რომელსაც სულ ვატარებ...**

- ტელეფონი, რომელიც ჩემი განუყრელი და აუცილებელი თანამგზავრია.

**- ვერასოდეს ვაპატიებ...**

- ღალატს ვერ ვაპატიებ ვერავის.

**- ყველაზე ძვირფასი...**

- მეგობრები, ოჯახი და ჩემი ქვეყნის შვილები - თანამოქალაქეები.

**- ვნანობ...**

- რომ უფრო მეტის გაკეთება შემიძლია და ვერ ან არ ვაკეთებ.

**- ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, რაც მიმიღია...**

- საჩუქარი ჩემთვის ყველა ძვირფასია.

**- ყველაზე გამაღიზიანებელი შეკითხვა...**

- „სა დეიკარგე, რა იშოვე ამფერი?!“, „რავა ხარ, თუ იცი?“.

**- ახლა ყველაზე მეტად მინდა...**

- გაბედნიერდეს საქართველო, ერთმანეთის ჭამას თავი დავანებოთ, შევიყვაროთ და გავუფრთხილდეთ... სიყვარული გადაგვარჩენს!

**- დაბოლოს...**

- მინდა წარმატებები გისურვოთ და მადლობა გადაგიხადოთ ინტერვიუსთვის. „ყველაფერი კარგად იქნება“. პატივისცემით დავით (გუდიკა) მოისწრაფიშვილი.

**რეპრესირებულები**

# 1937–1938 წლებში ბათუმში დახვრეტილ რეპრესირებულთა სია

**მარიამ ხითარიშვილი 27 48 93**

**ვაგრძელებთ ბათუმში 1937-38 წლებში დახვრეტილ რეპრესირებულთა სიის გამოქვეყნებას, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან თანამშრომლობით შეადგინა.**

**შეგახსენებთ, რომ სიას „აჭარის ა რ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა და მათ შთამომავალთა სოციალური დაცვის არასამთავრობო ორგანიზაცია „მემორიალის“ თხოვნით ვაქვეყნებთ, რათა რეპრესირებულთა შთამომავლები გამოეხმაურონ აღნიშნული „მემორიალის“ ხელმძღვანელ ზურაბ ზაქარიაძეს ყოველდღე, 18:00 საათიდან მობილურის ნომერზე - 595721416, იმ მიზნით, რომ ორგანიზებულად ჩატარდეს დნმ-ის ანალიზის აღება რეპრესირებულთა ოჯახის წევრებისაგან. სულ სიაში 1050 ადამიანია, რომელთა ვინაობას გაგრძელებებით, სრულად შემოგთავაზებთ გაზეთის შემდეგ ნომრებში.**

**დახვრეტის თარიღი - 07/12/1937**

458. მიქელაძე ოსმან დურსუნის ძე
459. იმნაიშვილი თემელ სულეიმანის ძე
460. კომახიძე სულეიმან ილიასის ძე
461. ზაქარიაძე იუსუფ ალის ძე
462. ნიჟარაძე რეჯებ დედეს ძე
463. დიასამიძე ჯემალ ეიუბის ძე
464. ხალვაში თევრათ ალის ძე
465. კომახიძე იუსუფ ილიასის ძე
466. შავიშვილი სულეიმან ასლანის ძე
467. ეგან ოღლი სულეიმან მევლუდის ძე
468. თურმანიძე ისმაილ სულეიმანის ძე
469. გოგიტიძე ალი ისმაილის ძე
470. ჯინჭარაძე მამუდ იუსუფის ძე
471. ბიბინეიშვილი გულიზარ ისკანდერის ასული
472. მალაზანია (მალაზონია) არონ მიხეილის ძე
473. გენჯალ ოღლი ალი ახმედის ძე
474. ლორთქიფანიძე მურად რასიკის ძე
475. კაიკაციშვილი მურად ახმედის ძე
476. მიქელაძე დურსუნ ხაშიმის ძე
477. ვაშაყმაძე მუსტაფა დომანის ძე
478. სეფერთელაძე ვლადიმერ პავლეს ძე
479. თოდრია ლავრენტი მაქსიმეს ძე
480. ხაბეიშვილი დიომიდე ლუკას ძე
481. რუბჩევი სემიონ ვასილის ძე
482. ანგელოვი მავრიკი დემიანეს ძე
483. წილოსანი გიორგი ვლადიმირის ძე

**დახვრეტის თარიღი - 11/12/1937**

484. ჭედია ტარას ეგორის ძე (იაგორის ძე)
485. დარმანიანი სერგო ნიკიტას ძე
486. ბოლქვაძე ისმაილ ახმედის ძე
487. გრძელიძე აჰმედ მემედის ძე
488. ხვინგია აკაკი ერასტის ძე
489. სარიშვილი დავიტ ვასილის ძე
490. ბოლქვაძე ალი მუსას ძე
491. კაიკაციშვილი მემედ გულიას ძე
492. ჩხეტია ვლადიმერ ალექსის ძე
493. ბეჟანიძე შულეიმან ხულუსის ძე
494. კვაჭაძე ლავრენტი ილარიონის ძე
495. ქარელი ივანე ნიკოლოზის ძე
496. ნიჟარაძე ანეპოდისტ ასლანის ძე
497. ჭეიშვილი კარლო კონსტანტინეს ძე
498. ფაღავა ოსმან უსუფის ძე
499. ამირიძე თემისტოკლ ვასილის ძე
500. ჩერნოუსენკო სერგო კირილეს ძე
501. ჯაში თევრად ალის ძე
502. კეკეჯანი აბგარ ივანეს ძე
503. ცქვიტინიძე შალვა ალფესის ძე
504. აბაშიძე გრიგოლ დავითის ძე
505. გლადუშენკო ალექსანდრე ნიკოლოზის ძე
506. კობეშავიძე ვლადიმერ სამსონის ძე
507. გორდელაძე ალექსანდრე იგორის ძე

**დახვრეტის თარიღი 17/12/1937**

508. კალანდაძე აფრასიონ გოგის ძე
509. ბერიძე ჰუსეინ მუჰამედ ოღლი
510. თურმანიძე იუსიპ უსლან ოღლი
511. ზაქარიაძე მუსა ალი ოღლი
512. კურტ ოღლი შაქირ ჰასან ოღლი
513. ზაქარიაძე ალი ომერ ოღლი
514. ქარცივაძე ალი ემინ ოღლი
515. აბაშიძე ისაბალ კამილის ძე
516. წოწონავა ივანე გიორგის ძე
517. ცენტერაძე მირიან იროდის ძე
518. ანთიძე მირიან კონსტანტინეს ძე
519. ხალვაში შალვა გიგოს ძე
520. ბიბილაშვილი ამბერკ დავითის ძე
521. გოგავა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე
522. ქარცივაძე (მურად ოღლი) აჯალი ემინის ძე
523. ბოლქვაძე ტუფან ფედატის ძე
524. შერვაშიძე საიდ ხემიდის ძე
525. ბერიძე აჰმედ ეფენდი ოსმანის ძე
526. შარაშიძე (ბილალ ოღლი) სერდალი ისმაილის ძე
527. ოლბაუმი მატვეი ადოლფის ძე
528. სალუქვაძე გრიგოლ ნოვოსის ძე

**დახვრეტის თარიღი - 22/12/1937**

529. ლოლუა კონსტანტინე გრიგოლის ძე
530. ფრეი რობერტ ალბერტის ძე
531. მულდერი იოსებ კარლის ძე
532. გოგიჯანოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე
533. პასიკოვი ლეონიდე სერგოს ძე
534. შედანია ვიქტორ ერასტის ძე
535. გორა ნიკოლოზ დიმიტრის ძე
536. ვიშნევსკი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე
537. რიხტერი ფიოდორ ედუარდის ძე
538. ბერიძე ნესტორ გიორგის ძე
539. სიკორინი ვიქტორ სიმონის ძე
540. ტიტმანი ალექსანდრე პეტრეს ძე




541. კენგილიდი დიმიტრი ფიოდორის ძე
542. ჩინაკი იოსებ სოლომონის ძე
543. ხალვაში ხასან შერიფის ძე
544. გორაძე მერჯან ხასანის ძე
545. მალაყმაძე ოსმან მევლუდის ძე
546. ღოღობერიძე (გოგობერიძე) ჰუსეინ ხურშუტის ძე
547. იმელი ანტონ რაფაელის ძე
548. ბერლანდტი ალბერტ ედუარდის ძე
549. გაბერკორნი ივანე ქრისტეფორეს ძე
550. ლევიცკი კარპ დანიელის ძე
551. შტოლი ჰერბერტ ჰენრიხის ძე
552. გოპფაუფი იოსებ ანდრიას ძე
553. შნაიდერი ივანე სტანისლავის ძე
554. ვიკარეცი სტანისლავ ფრანცის ძე
555. პეტროვი ვიქტორ ივანეს ძე
556. გეგეჭკორი სარდიონ ტიმოთეს ძე
557. რეიერი ერვინ ფრიდრიხის ძე
558. ლიკი ვლადიმერ ფერდინანდის ძე
559. მოროზი ვასილი ევდოკიმეს ძე
560. ჩოგლაკოვი ნიკოლოზ გიორგის ძე
561. ვასილევსკი სიგიზმუნდ ივანეს ძე
562. ნაკაშიძე ისააკ სულეიმანის ძე
563. აჟაევი კონსტანტინ მიხაილის ძე
564. ულიტინ ივანე პროკოფის ძე
565. გედენიძე ევგენი თევდორეს ძე
566. რინძევიჩი ლეონიდე ადამის ძე
567. ტანცუროვი ვიქტორ ანტონის ძე
568. კაპანაძე სევასტი ვასილის ძე
569. ილინი კირილე ნიკოლოზის ძე
570. დარჩია გიორგი ზურაბის ძე
571. ჩიგოგიძე პროკოფი ნიკოლოზის ძე
572. გეგელაშვილი სიმონ ანტონის ძე
573. ავრაამოვი კონსტანტინ პროდრომის ძე
574. კეკეიშვილი მიხეილ ფილიპეს ძე
575. ბერიძე შირინ სალიხის ძე
576. პეტრიძე მამუდ ჰასანის ძე
577. ხაბაზი ფიბულა რეჯების ძე
578. პაპანდოპულო კონსტანტინ ქრისტეფორეს ძე
579. ვარშანიძე აჰმედ ჰასანის ძე
580. ოქროპირიძე დურსუნ კესკინის ძე

**დახვრეტის თარიღი - 27/12/1937 მე-5 სამარხი**

581. აბაშიძე დურსუნ ალის ძე
582. გოგიტიძე იუნუს ესედის ძე
583. ძნელაძე ჰაფიზ ალის ძე (დაკრძალვა 22 ივლისი)
584. კახიძე შულეიმან ქიბარის ძე
585. ლომაძე მურთაზ იბრაგიმის ძე
586. პელევან ოღლი მურად კელეშ ოღლი
587. მალაყმაძე ჰემდი ასლანის ძე (დაკრძალვა 16 ივლისი)
588. დიშლი ოღლი ჰასან იაკუბის ძე (დაკრძალვა 25 ივნისი)
589. პაპილ ოღლი ალო ოსმანის ძე
590. აბულაძე თეოფიკე კემალის ძე
591. მაკარაძე კოჩალი ილიასის ძე
592. ოტი ოღლი ოსმან მუსას ძე
593. ვირუბოვი ტერენტი დიმიტრის ძე
594. ფოსსი პაველ იულის ძე
595. კარანაძე აბესალომ ვასილის ძე
596. თავართქილაძე (თაბზარ ოღლი) შირი იზეტის ძე
597. წერეთელი მევლუდ სულეიმანის ძე
598. გელაძე დაუდი ისკანდერის ძე
599. მეგრელიძე მამუდა ისმაილის ძე
600. ცეცხლაძე მემედ სელიმის ძე
601. ტყებუჩავა ლავრენტი ანტონის ძე
602. ლიფეროვი ვლადიმერ ისაკის ძე
603. დავლაძე ჰუსეინ ოსმანის ძე
604. გოგიტიძე აჰმედ იუსუფის ძე
605. ჭალალიძე ოსმან სულეიმანის ძე
606. ჯინჭარაძე (სუნი ოღლი) მემედ ფერადის ძე
607. ბალაძე ჰუსეინ მემედის ძე
608. გიორგაძე გაბრიელ ნიკოლოზის ძე

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზეთი «აჭარა» №№80, 81, 82.

# ბაიარ შაჰინი: ერთი სამშობლო მაქვს და ორი ქვეყნის შვილი ვარ

## კლიპის «ქედა» წარდგინება



«ქედაში არ დავბადებულვარ. ჩემი წინაპარი საუკუნის წინ აქედან საცხოვრებლად ზღვისპირეთში გადავიდა. ნოსტალგიამ თავისი გაიტანა, 70 წელს მიტანებული ისევ აქაურობას დავუბრუნდი. სოფელ ვაიოში საცხოვრისიც გავიჩინე. ცნობილი კარდიოქირურგის, თურქეთის რესპუბლიკაში დაბადებული «ჩვენებურის» ისმეთ დინდარის (მიქელაძე) შუამავლობით, საყოველთაოდ აღიარებული მომღერალი ბაიარ შაჰინი გუნდარიძე გავიცანი. ვიცოდი, რომ მას საქართველოზე, გამორჩეულად აჭარაზე, არაერთი სიმღერა აქვს შესრულებული. კლიპები ჩაიწერა ხულოზე, ქობულეთზე. მინდოდა ქედაც დარჩენოდა ისტორიას. მისასალმებელია, რომ ბაიარის, ლექსის ავტორის, ქედელი პოეტის მზია დიასამიძის, მუსიკის ავტორის როლანდ შალიკაძის, რეჟისორ ალეკო აბაშიძის ჩართულობითა და ჩემი მატერიალური თანადგომით, უკვე ხელთ გვაქვს კლიპი «ქედა», - თქვა «აჭარასთან» საუბარში კლიპის წარდგენის დაწყებამდე ბიზნესმენმა, არაერთი საქველმოქმედო ღონისძიების დამფინანსებელმა, შპს «ლიდერ ბეტონის» დირექტორმა ანზორ (დურსუნ) მიქელაძემ.

წარდგინება - ფრიდონ ხალვაშის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა. ღონისძიება გახსნას და შეკრებილთ მიესალმნენ ქედის კულტურის ცენტრის რეჟისორი ლია მახარაძე, ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, «საპატიო ქედელი», ბეიქოზი-ბათუმის ქართული საზოგადოების კულტურის ელჩი და წარმომადგენელი ბათუმში მერი დიასამიძე, ბიზნესმენი ანზორ (დურსუნ) მიქელაძე, ლექსის ავტორი მზია დიასამიძე, მომღერალი ბაიარ შაჰინი გუნდარიძე, ქედის კულტურის ცენტრის დირექტორი ჯამბულ სურმანიძე, რეჟისორი ალეკო აბაშიძე. მომღერალმა ირინე დევაძემ და ქედის კულტურის ცენტრთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა «ელესამ» ირაკლი სირაბიძის ხელმძღვანელობით, დამსწრე საზოგადოებას მუსიკალური ნომრები შესთავაზა. განსაკუთრებული მოწონება ბაიარის სიმღერამ «ჟუჟუნელა» დაიმსახურა. მან რამდენიმე მუსიკალური ნომერი შეასრულა.

**ბაიარ შაჰინს ინტერვიუ ვთხოვეთ:**

- ქალაქ სტამბოლში ერთ ღონისძიებაზე ქალბატონ მერი დიასამიძეს შევხვდი. გამიმხილა, რომ ქედაზე კლიპის გადაღება სურდა და თან მისი დის - მზია დიასამიძის ლექსი «ქედა» გადმომცა. ლექსი წავიკითხე, მაგრამ იმ წუთშივე რეაგირება არ გამიკეთებია. რამდენიმე დღის შემდეგ ბათუმში ისმეთ დინდარისთან (მიქელაძე) ერთად ჩამოვედი. დურსუნ მიქელაძის ოჯახში მიგვიპატიჟეს. ქართული ტრადიციისამებრ, სუფრა გაიშალა. ხელოვნებაზე სიტყვა რომ ჩამოვარდა, გაიხსენა, რომ ჩემი ავტორობით რამდენიმე რაიონზე კლიპი ჩაიწერა. ჩამოთვალა: «რა სამშობლო მქონია«, «ელია გოგო, ელია», «მენატრები, ჩემო ხულო» და მკითხა: ჩემს მშობლიურ ქედაზე გადაღებული კლიპი სად არისო? გამახსენდა მერი დიასამიძის მიერ გადმოცემული ლექსი და... დავიწყე მუსიკის წერა. ვნახე ჩემი მეგობარი როლანდ შალიკაძე, რეჟისორი ალეკო აბაშიძე და კლიპზე მუშაობა დავიწყეთ. მადლობას ვუხდი ყველა ქედელს, გამორჩეულად, ანსამბლ «ელესას» წევრებს, მის ხელმძღვანელს ირაკლი სირაბიძეს. ქედელებმა კლიპზე მუშაობისას ერთხელ კიდევ გვაჩვენეს სტუმართმოყვარეობის ის ადათ-წესი, რაც ამ კუთხეშია დავანებული. აქ განსაკუთრებული მასპინძლობა იციან, რაც შემდეგ მეგობრობაში გადადის. იმ დროიდან მოყოლებული, რაც პირველად ფეხი დავდგი ამ მიწაზე, ბევრი მეგობარი შევიძინე. თითქოსდა საკუთარ ოჯახში ვარ, ისე ვგრძნობ აქ თავს.

*სტამბოლში მაჭახლელების ქორწილში ვიყავი. თურქული მუსიკალური ინსტრუმენტი ავახმიანე და ვიმღერე «ჯინველო». სიმღერა დავიწყე თუ არა, სარიტუალო დარბაზში ხმაური შეწყდა, ჩვეულებრივი გუგუნი აღარ იყო, სუნთქვაც კი შეაჩერა ხალხმა. მათ პირველად გაიგონეს მომღერლის მიერ ცოცხლად შესრულებული ქართული სიმღერა. მანამდე ქართულ სიმღერებს მხოლოდ ჩაწერილს ისმენდნენ. იმ დღის ემოცია ახლაც მომყვება. მაშინ თავი ვალდებულად ჩავთვალე, რომ ქართული სიმღერები დამეძებნა და ცოცხლად მემღერა*



**- ეს მერამდენე კლიპია აჭარაზე გადაღებული?**

- 10-მდე კლიპი მაქვს გაკეთებული. ახლა შუახევზე ვამზადებთ. სიმღერა უკვე ჩაიწერა. აგვისტოს ბოლოს გადაღებას დავიწყებთ ჩირუხიდან.

**- რატომ ჩირუხი?**

- დედის კალთას დავეძებდი,
მოვიარე მთა და ხევი,
ჩირუხისწყალს გამოვყევი,
წინ შემომხვდა შუახევი.

ეს ამ სტრიქონებმა მიკარნახა და კლიპის გადაღებასაც ჩირუხიდან ვიწყებთ.

**- რა ასაკიდან დგახართ სცენაზე?**

- 14 წლიდან.

**- პირველი ქართული სიმღერა როდის შეასრულეთ?**

- სტამბოლში მაჭახლელების ქორწილში ვიყავი. თურქული მუსიკალური ინსტრუმენტი ავახმიანე და ვიმღერე «ჯინველო». სიმღერა დავიწყე თუ არა, სარიტუალო დარბაზში ხმაური შეწყდა, ჩვეულებრივი გუგუნი აღარ იყო, სუნთქვაც კი შეაჩერა ხალხმა. მათ პირველად გაიგონეს მომღერლის მიერ ცოცხლად შესრულებული ქართული სიმღერა. მანამდე ქართულ სიმღერებს მხოლოდ ჩაწერილს ისმენდნენ. იმ დღის ემოცია ახლაც მომყვება. მაშინ თავი ვალდებულად ჩავთვალე, რომ ქართული სიმღერები დამეძებნა და ცოცხლად მემღერა ანუ: «ბაიარ, ეროვნულობა გიხმობს».

**- რა ასაკში ისწავლეთ ქართულ ენაზე წერა-კითხვა?**

- სამწუხაროდ, უკვე ასაკში შესულმა, რაზეც გული მწყდება. ალბათ, 40 წლის ვიყავი.

**- სამი ქალიშვილის მამა ხართ. მათი დამოკიდებულება ქართული ენისადმი?**

- მე ვამაყობ მათით. იციან ქართული ენა, კარგი დამოკიდებულება აქვთ ქართულ ხელოვნებასთან, კარგად იცნობენ საქართველოს, დამყავს ზედა მაჭახელში, ჩემს მშობლიურ სოფელ ქვაბითავში. ქართული დედაჩემმა შეასწავლა, რომელიც სულ ქართულად საუბრობდა.

**- ოჯახი ხომ არ შეუქმნიათ?**

- ჯერ არ ჩქარობენ.

**- ქართველმა ჭაბუკმა რომ ხელი თხოვოს?**

- მივესალმები.

**- საქართველოს სიყვარული...**

- ამ ფენომენს სიტყვით ვერ ავხსნი, მაგრამ ერთს ვიტყვი: ერთი სამშობლო მაქვს და ორი ქვეყნის შვილი ვარ. ერთი თურქეთია, სადაც დავიბადე, მეორე - საქართველო. ორივე ქვეყნის მოქალაქე ვარ, მაგრამ ორი სამშობლო არ შეიძლება გქონდეს. ჩემი სამშობლო საქართველოა.

**- საქართველოში სამუდამოდ დამკვიდრებას თუ ისურვებდით?**

- საქართველოში ისედაც დამკვიდრებული ვარ. 2006 წლიდან საქართველოს მოქალაქე ვარ. განა მარტო მე? - მთელი ოჯახი. ეს, როგორც მომღერალს, სცენაზე, კონცერტის დაწყების წინ მაუწყეს. ამაზე დიდი საჩუქარი ჩემს ცხოვრებაში არ მიმიღია. იმ დღეს იურიდიულადაც ჩავიხუტე საქართველო გულში და საქართველომ ჩამიხუტა მე.

**- ორად გაყოფილი მაჭახლის ხეობის მომავალი როგორ გესახებათ?**

- ხეობას ორი მეზობელი ქვეყნის ხელმძღვანელობის თანადგომით, რეალური მომავალი ექნება. დღეს სიყვარულით გაერთიანებული ვართ. ზედა და ქვედა მაჭახელის მკვიდრებს თბილი, კეთილი ურთიერთობები გვაქვს. უკვე მიმოსვლა, ნათესავების მონახულება აღარ გვეკრძალება. ყველამ ახლობელი ნახა და გულში ჩაიხუტა. ჩვენ სულიერად შეერთებულები ვართ, თუმცა საზღვარი მაინც გვყოფს. მინდა, რომ ორივე მაჭახელი გაერთიანდეს, საზღვარი წაიშალოს. გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. ზედა მაჭახელში ინფრასტრუქტურა ვითარდება. უკვე საზღვრამდე საავტომობილო გზა მოვიდა. ზედა მაჭახლელებს ზამთარში ძალიან გვიჭირს. თუ გზა გაიხსნა, რიგი პრობლემები დაიძლევა. ოპტიმისტი ვარ და ხვალის იმედი მაქვს.

# აჭარული კერძების მასტერკლასი – ჩაოში

***ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაოში, კოტაჯვრის გადასახედზე არსებულმა ტურისტულმა ობიექტმა აჭარული კერძების მასტერკლასს უმასპინძლა***

მისი მიზანი თითქმის მივიწყებული, ტრადიციული აჭარული კერძების ადგილზე მომზადება, წარმოჩენა და პოპულარიზაცია იყო. ღონისძიების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ჩაოში მცხოვრები აქტიური ქალბატონი მზია შავაძე გახლდათ, რომელიც 2019 წელს შეუერთდა ხულოს ქალთა ოთახს და მას შემდეგ, სხვა წევრებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობს ხულოს ქალთა ოთახის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.

მასტერკლასის ორგანიზებულად ჩასატარებლად ხულოს მუნიციპალიტეტის ათი სოფელი გაერთიანდა, თითოეულმა სხვადასხვა სახის უგემრიელესი კერძი და აქსესუარები წარმოაჩინა. შესრულდა სიმღერები და ცეკვები.



თაგოდან მოიტანეს ხავიწი, თიხის ქოთანში გაკეთებული ფხალი, თიხის ქოთანში შემდგარი მაწონი, აჩმა ხაჭაპური, მთის სამკურნალო მცენარეების - მოცვის და ჟოლოს ჯემები და წვენები, თაფლი და კაიმაღი, კეცზე გამომცხვარი მჭადი. მათთან ერთად წარმოადგინეს საყოფაცხოვრებო დანიშნულების ძველი ნივთები, ნაქსოვები, ნაქარგები.

არანაკლებ მრავალფეროვანი იყო მასპინძელთა კერძები: ჰასუთა, კორკოტი, მოჭრილი მაკარონი, მალახტო ლობიო, უძველეს სპილენძის თასში მომზადებული ბორანო და შუშლამა ყველი, კეცზე, ცეცხლაპირზე გამომცხვარი პური და ჯვრიანი მჭადი.



გაიმართა სეფერატორით რძის გადამუშავების და დაწნილი ყველის მასტერკლასი, რომელსაც 86 წლის უხუცესი ქალბატონი უძღვებოდა.

თაგოელებსა და ჩაოელებს არც ვაშლოვანელი, განახლებელი, ძმაგულელი, კორტოხელი, დეკანაშვილებელი, რიყეთელი, პაქსაძეებელი და ოქროუაშვილებელი კულინარები, ქარგვა-ქსოვის ოსტატები ჩამორჩნენ. აჭარული ბორანოს ერთ-ერთი სახეობა - ნაღბის ბორანო, ყაისაფა, ტყლაპის და ჩირის ფაფა, ხაპიშორვა, სამკურნალო მცენარეების ნაყენი, რომელიც ხელს შეუწყობს ხალხური მედიცინის პოპულარიზაციას, სამი სახის ბორეგი, საუკეთესო ჯიშის კარტოფილი და კარტოფილის ბორანო, ოჯახებში დაწურული ღვინოები წარმოადგინეს.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ხულოს მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის მოხალისეები, რომლებიც თავიანთი ხელნაკეთი ნივთებითა და ნაქსოვებით ჩაერთნენ გამოფენა-გაყიდვაში.

მასტერკლასებს ფინანსური მხარდაჭერა ხულოს მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახმა გაუწია. მიწვეულნი იყვნენ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებიც ნარგიზ დეკანაძის ხელმძღვანელობით, ქალთა ოთახების გაერთიანების ხელმძღვანელი ფატიმა ბოლქვაძე.

- იმედს ვიტოვებთ, ეს წამოწყება ტრადიციულ სახეს მიიღებს და შემდგომში უფრო მასშტაბური გახდება. ქალთა ოთახების გაერთიანება გამოხატავს მზაობას, სამომავლოდ შეუერთდეს მსგავს წამოწყებას, მხარი დაუჭიროს მსგავსი მასტერკლასების ინიციატორებს ქალთა ორგანიზაციების ფინანსური დახმარებით.

ხულოს მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებიც შეუერთდებიან და მოწვეულ სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ, ადგილზე გაეცნონ მთიელი ქალების ყოფის ამსახველ შემოქმედებას, - გვითხრა მზია შავაძემ.

აჭარული კერძების მასტერკლასს აჭარის ტურიზმისა და კურორტების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლები ეკა აბესაძე და დონარ ტუნაძე ესწრებოდნენ. მათ მასტერკლასის მონაწილე სოფლის მზარეულებს საჩუქრად წიგნები - „კულინარიული მოგზაურობა აჭარაში" და „ხალხური ტრადიციები და რიტუალები აჭარაში" გადასცეს.

- უნიკალური, თითქმის მივიწყებული ტრადიციული კერძები, ლექსები, სიმღერები, ცეკვა, ულამაზესი ბუნება, სოფლად მცხოვრები ქალბატონების ნაქსოვები, ნაქარგები, ხელნაკეთი ნივთები დიდ ყურადღებას იქცევდა. აღფრთოვანებული და კმაყოფილი ვტოვებთ ღონისძიებას, - თქვეს სტუმრებმა.

ამ დღეს ყველაფერი ქართული, ეროვნული, ტრადიციული იყო, რომელიც მხოლოდ ხულოს მთებშია დაცული და შემონახული.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

# ანსამბლი „ზე-კართან“ – ბულგარეთში

**თამაზ მგზავრიძე 27 48 93**

***რამდენიმე წლის წინ შუახევის კულტურის ცენტრთან ახალგაზრდული ანსამბლი „ზე-კართან“ ჩამოყალიბდა, რომელსაც ცნობილი ქორეოგრაფი „საპატიო შუახეველი“, „საპატიო ხულოელი“ გურამ ბოლქვაძე ხელმძღვანელობს***

ანსამბლმა პირველსავე წელს ქორეოგრაფიული საზოგადოებისა და მაყურებლის მოწონება დაიმსახურა. „ზეკარელების“ შემოქმედებას უკვე უცხოეთის რამდენიმე ქვეყანაში იცნობენ. თითქმის 10 წელია, რესპუბლიკურ ფესტივალებზეც წარმატებით გამოდიან. წელს ანსამბლმა მიწვევა ბულგარეთიდანაც მიიღო.

ივლისის ბოლოს ანსამბლის წევრები, შუახევის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი სტრუქტურების ხელმძღვანელებთან ერთად, ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალ „პლოვდივი XVIII“-ზე იმყოფებოდნენ. „ზეკარელებსა“ და დელეგაციის წევრებს შუახევში დაბრუნებისთანავე მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, მერის მოადგილე რუსუდან შავაძე შეხვდნენ და ფესტივალზე წარმატებული გამოსვლა მიულოცეს.

ფესტივალში ევროპის, აზიის, სამხრეთ ამერიკის ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები მონაწილეობდნენ. საქართველოს სახელით გამოსვლის პატივი წილად ხვდა შუახევის კულტურის ცენტრთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ზე-კართან“.

ფესტივალის ოფიციალურად გახსნის დღიდანვე, „ზეკარელები“ 10-ჯერ წარსდგნენ მაყურებლის წინაშე. მოეწყო საზეიმო მსვლელობები და კონცერტები.

ორგანიზატორებმა შუახევის კულტურის ცენტრთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლს სპეციალური დიპლომი გადასცეს.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის ხელმძღვანელი, შუახევის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე მირიან აბაშიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძე, გურამ ბოლქვაძე შეხვდნენ ბულგარეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს, ქალაქ პლოვდივის მერიის ხელმძღვანელებსა და ფესტივალის ორგანიზატორებს.



# ბათუმმა სილამაზის ფესტივალს უმასპინძლა

**ნანა აბულაძე 577 20 35 90**

***„ჩვენ ვართ სილამაზე“ - ამ სლოგანით ბათუმმა სამი დღის განმავლობაში სილამაზის ფესტივალს უმასპინძლა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ აუცილებელია ვიზრუნოთ საკუთარ ჯანმრთელობაზე, სილამაზეზე, რათა უფრო თავდაჯერებულები შევხვდეთ ყოველდღიურ გამოწვევებს***



საავთიაქო ქსელის PSP-ს მიერ ორგანიზებული ფესტივალი ბათუმის სპორტის სასახლეში გაიმართა, სადაც მომხმარებლებს თავის მოვლის პროდუქტები, ასევე, ესთეტიკური პროცედურები ხელმისაწვდომ ფასად, 50-პროცენტიანი ფასდაკლებით შეძენის საშუალება მიეცათ.

- საქართველოში პირველად ჩატარდა მსგავსი ტიპის ფესტივალი. უკვე დიდი ხანია, ჩვენი აფთიაქი გასცდა სააფთიაქო სივრცეს. დაახლოებით, 16 წელია, ვცდილობთ თავის მოვლის მიმართულებითაც დავიმკვიდროთ მოსახლეობაში ადგილი, რაც ვთვლი, რომ ფანტასტიკურად გამოგვდის, თუმცა, ფესტივალის ფორმატი ახალი გამოცდილებაა ჩვენი ქართველი მომხმარებლებისთვის, რომლებსაც გვსურდა, დიდ ფასდაკლებებთან ერთად დიდი სიამოვნებაც მიგვეღო. სილამაზესთან რაც არის დაკავშირებული, ერთ სივრცეში გავაერთიანეთ და მოხარული ვარ, რომ სამი დღის განმავლობაში არაერთი ადამიანის გახარება შევძელით. ვფიქრობთ, ფესტივალი ტრადიციულ სახეს მიიღებს და მომავალშიც არაერთ სიახლეს შესთავაზებს მომხმარებელს, რომლის ნდობაც ჩვენთვის უპირველესია, - გვითხრა პსპ-ს მარკეტინგის მენეჯერმა მედეა ღვაჩლიანმა.

ფესტივალში არაერთ კომპანიასთან ერთად მონაწილეობდა ინოვაციური სტომატოლოგიისა და ზოგადი მედიცინის ცენტრი „როგო“:

- ცენტრის ძირითადი მიმართულებაა სტომატოლოგია, თუმცა ვინაიდან ესთეტიკაში მოიაზრება სრული ვიზუალი, კოსმეტოლოგიური ნაწილი დავამატეთ და ვავითარებთ ესთეტიკის მედიცინის მიმართულებას. პირველ რიგში, მსგავს ფესტივალებში მონაწილეობა იმიტომ არის კარგი, რომ საზოგადოებას სრულად ვაცნობთ ჩვენს სერვისებს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ახალი ურთიერთობები ყალიბდება. ფესტივალის ფარგლებში უფასო კონსულტაციით არაერთი ადამიანის გახარება შევძელით. ჩვენი სურვილია, ბევრი გაღიმებული სახე ვიხილოთ ირგვლივ, - აღნიშნა კომპანია „როგოს“ წარმომადგენელმა ნინო გოგეშვილმა.

ფესტივალში ასევე მონაწილეობდა მხატვარი და ჯგუფ (რომელიც ქალბატონებს აერთიანებს) „გლამ ფაქტორის“ დამფუძნებელი მარიამ კვაშილავა. მან თავისი შემოქმედება წარუდგინა ფესტივალის სტუმრებს:

- მიხარია, რომ როგორც ხელოვანს მომეცა საშუალება, სილამაზის ფესტივალზე ჩემი შემოქმედების ნაწილი წარმედგინა, რისთვისაც მადლობას ვუხდი პსპ-ს. ძალიან ვაფასებ ყველა მსგავს წამოწყებას, სიახლეს, რაც ჩვენს ქვეყანას და ქალბატონებს წარმოაჩენს. ჩვენი ჯგუფის წევრებისთვის, რომელიც ქალბატონებს აერთიანებს, გარეგნულ სილამაზესთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანია შინაგანი სილამაზე და სიმშვიდე, რასაც არაერთი თერაპიული მეთოდითა და ტექნიკით შეიძლება მივაღწიოთ. სწორედ ამიტომ აღნიშნულ ფესტივალზე კერამიკაზე მუშაობის მასტერკლასი ჩავატარე, რითაც კიდევ ერთხელ შევეცადე, სულიერი სიმშვიდე ეგრძნოთ ადამიანებს და ბევრ რამეზე ახლებურად დაფიქრებულიყვნენ. პროფესიით ხელოვნებათმცოდნე ვარ, დავამთავრე სორბონის უნივერსიტეტი, ახლა კი მომეცა საშუალება, დავუბრუნდე სახელოვნებო სფეროს და ძალიან დიდი სტიპენდიით სწავლა გავაგრძელო ნიუ-იორკის ხელოვნების აკადემიაში. მიხარია, რომ ჩემი პრინტების შეძენით ადამიანები მხარს მიჭერენ, რათა ავიხდინო ოცნება და გავემგზავრო ამერიკაში, - გვითხრა მარიამ კვაშილავამ.

# „გამომყევი აჭარაში“ – მასშტაბური სარეკლამო კამპანია

**ხატია იაშვილი 555 18 48 88**

***აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი შიდა ტურიზმის სტიმულირების მიზნით, აგვისტოდან მასშტაბურ სარეკლამო კამპანიას „გამომყევი აჭარაში“ იწყებს. მის ფარგლებში ქართველ ბლოგერებს, მოგზაურებს, ინფლუენსერებს, ფოტოგრაფ/ვიდეოგრაფებსა და ცნობილ პიროვნებებს საშუალება ეძლევათ, ორი თვის განმავლობაში იმოგზაურონ აჭარაში, შექმნან საინტერესო კონტენტი, გაუზიარონ გამომწერებს და მოიგონ კამპანიის მთავარი პრიზი - 100 000 ლარი***

„გამომყევი აჭარაში“ კამპანიის მიზანია აჭარის, როგორც ოთხივე სეზონზე მიმზიდველი, მრავალფეროვანი ტურისტული მიმართულების პოპულარიზაცია და ქართველი ბლოგერ/ინფლუენსერების ჩართულობით შიდა ტურიზმის სტიმულირება. პროექტი თანაბარ შესაძლებლობას აძლევს ყველა ბლოგერსა თუ ინფლუენსერს 1 აგვისტოდან დარეგისტრირდეს პროექტში, აჭარაში მოგზაურობის შთაბეჭდილებები გაუზიაროს გამომწერებს, რეგიონზე გამოქვეყნებული პოსტებით დააგროვოს მაქსიმალური წვდომა და გახდეს პროექტის გამარჯვებული.

პროექტში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია ონლაინ რეგისტრაცია სპეციალურად პროექტისთვის შექმნილ ვებ-გვერდზე followajara.ge. მისი გავლის შემდეგ, მონაწილეს შემთხვევითობის პრინციპით მოუწევს „სამოგზაურო პაკეტი“, რომელშიც წინასწარაა განსაზღვრული აჭარაში მონაწილის მიერ გადასაღები სამთო და საზღვაო ტურისტული ადგილები/ობიექტები. კამპანიისას მონაწილეებისთვის განაწილებული ადგილები შედგენილია „აჭარის ტურისტული ანბანის“ პროექტის მიხედვით. მასში შესულია რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში არსებული ძირითადი, ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ტურისტული ადგილები, პროდუქტები და ობიექტები.

აუცილებელია, უკვე რეგისტრირებულმა მონაწილეებმა კამპანიის პერიოდში იმოგზაურონ აჭარაში, მოინახულონ „სამოგზაურო პაკეტში“ მითითებული ადგილები, თითოეულ ადგილზე შექმნან აჭარაში მოგზაურობასთან დაკავშირებული, შიდა ტურისტების მასტიმულირებელი კონტენტი და განათავსონ სოციალურ ქსელებში ჰეშთეგით #გამომყევი აჭარაში. კამპანიის მთავარი პრიზის 100 000 ლარის მოსაგებად აუცილებელია, მონაწილემ კამპანიის პერიოდში აჭარაზე გამოქვეყნებული პოსტებით, ვიდეოებითა და რილსებით დააგროვოს მაქსიმალური წვდომა (Reach), რაც ჯამში უნდა აღემატებოდეს 10 მილიონს.

კონკურსის გამარჯვებული გამოვლინდება კამპანიის პერიოდში აჭარის შესახებ გამოქვეყნებულ პოსტებზე, რილსებსა თუ ვიდეოებზე მიღწეული წვდომების (Reach) საერთო ჯამით. უფრო კონკრეტულად, დაჯამდება კონკურსში მონაწილე თითოეული წევრის მიერ აჭარის პოპულარიზაციის მიზნით გამოქვეყნებული კონტენტის საერთო წვდომა, ინფლუენსერი კი, რომელიც აჭარის შესახებ გამოქვეყნებულ პოსტებზე ჯამში დააგროვებს მინიმუმ 10 მილიონ წვდომას, გაიმარჯვებს კონკურსში და მოიგებს მთავარ პრიზს.



მთავარი პრიზის გარდა, რომელსაც მიიღებს პირველ ადგილზე გასული ინფლუენსერი, გათვალისწინებულია ფულადი საჩუქრები და პრიზები პირველ ხუთეულში მოხვედრილი ინფლუენსერებისთვისაც, რაც 20000-20000 ლარს შეადგენს.

მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყება 1-ელი აგვისტოდან. მონაწილე პროექტში ჩართვას კამპანიის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, (15 აგვისტო - 15 ოქტომბერი) შეძლებს.

კონკურსის შედეგები 16 ოქტომბერს გახდება ცნობილი. გამარჯვებულები პროექტის შემაჯამებელ ღონისძიებაზე დაჯილდოვდებიან.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 2/08/23, 21 40 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# ბათუმი ჯაზფესტივალის განუმეორებელი ენერგეტიკით აივსო

## მუსიკალური დღესასწაული – ვარსკვლავური ნათებებით

**ნანა აბულაძე 577 20 35 90**

*შავი ზღვის ჯაზფესტივალმა უკვე მეთექვსმეტედ გვამოგზაურა მრავალფეროვან მუსიკალურ სამყაროში*



სამდღიანი დღესასწაული 28 ივლისს ქართულმა ბენდმა „ბედფორდ ფოლსი“ გახსნა, რომელიც არაერთი წელია, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, პოპულარობით სარგებლობს. მის შემდეგ სცენა „სოულ თრეინს“ დაეთმო, რომელმაც 70-90-იანი წლების მსოფლიო ჰიტების შესრულებით განსაკუთრებული მუხტი და ენერგია შემოიტანა კონცერტში. გამორჩეულად შთამბეჭდავი იყო ვოკალისტ რეჯი საუნდერსის გადაწყვეტილება, სცენიდან დარბაზში გადაენაცვლებინა და მაყურებლებთან ერთად გაეგრძელებინა ცეკვა.

- ძალიან ბევრი კონცერტი ჩაგვიტარებია, თუმცა ეს ყველაზე მაგარი, შეიძლება ითქვას, ნომერ პირველი იყო. საოცარი ემოცია იგრძნობოდა მაყურებლისგან, ვფიქრობ, ჩვენი ენერგეტიკა დაემთხვა ერთმანეთს, ამიტომ საღამო ერთნაირად სასიამოვნო აღმოჩნდა ჩვენთვისაც და მოსულთათვისაც. ბენდისთვის ეს დღე იყო არაჩვეულებრივი გამოცდილება, რისთვისაც მადლობას ვუხდი ბათუმსა და ჯაზფესტივალის ორგანიზატორებს, - გვითხრა რეჯი საუნდერსმა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯაზფესტივალის სამივე დღეს ვარსკვლავური შემადგენლობა წარმართავდა, მელომანები განსაკუთრებული ემოციებით ელოდნენ ბასის ჯადოქართან, უდიდეს ინსტრუმენტალისტსა და კომპოზიტორთან, ლეგენდარულ ამერიკელ მუსიკოს მარკუს მილერთან შეხვედრას. განსაკუთრებული ატმოსფერო იგრძნობოდა დარბაზში, მოლოდინი, რომ იხილავ და მოუსმენ განუმეორებელ მუსიკოსს, რომლის კომპოზიციებს სულ სხვა სამყაროში გადაჰყავხარ, მართლდება და რწმუნდება, რომ შენ წინ დგას მუსიკოსი განუსაზღვრელი შესაძლებლობებით, რომლის თითოეულ ბგერას ემოციით, მშვიდი „ცურვით“ უნდა გაჰყვე.

- ამ დღეს დიდი ხანია ველოდი, სიტყვები არ მყოფნის, მარკუს მილერის მოსმენა უდიდესი ბედნიერებაა. როცა აცნობიერებ, რომ შენ წინ დგას გენიალური პიანისტი, საქსაფონისტი, დრამერი, ბასისტი, ფიქრობ, როგორ მოიყარა თავი ამდენმა და ამხელა შესაძლებლობებმა ერთ ადამიანში, მაგრამ უსმენ და ხვდები, რომ სწორედ ამ განსაკუთრებულობის გამო არის ის ერთადერთი და განუმეორებელი. მადლობა „ისთერფრომოუშენის“ ხელმძღვანელებს, რომ ყოველ წელს გვაძლევენ შესაძლებლობას, მოვუსმინოთ საოცარ მუსიკოსებს, მივიღოთ ემოციები, რომლებიც დიდხანს გაგვყვება. მადლობა ბათუმს მასპინძლობისთვის, ამ ქალაქს განსაკუთრებით უხდება ფესტივალები, - გვითხრა დედაქალაქიდან ჩამოსულმა სტუმარმა დავით ღოღობერიძემ.

ორი გრემისა და მრავალი მუსიკალური ჯილდოს მფლობელმა მარკუს მილერმა მადლობა გადაუხადა ქართველ მსმენელს და აღნიშნა, რომ საქართველოსთან ძალიან კარგი მოგონებები აკავშირებს.

- ათი წლის წინ ვიყავი აქ და მახსოვს, როგორი დაუვიწყარი დრო გავატარე. ბენდის ახალ წევრებს ვეუბნებოდი, რომ ბათუმი განსაკუთრებულია და დღეს ისინი დარწმუნდნენ, რომ, მართლაც საოცარ ქალაქში მოხვდნენ, რომელსაც ასევე საოცარი მსმენელი ჰყავს. მინდოდა, შავი ზღვის ჯაზფესტივალზე მთელი გულით შემესრულებინა კომპოზიციები, რომლებიც გაჯერებული იქნებოდა მეტი ჯაზით. ასეც მოხდა და ვფიქრობ, მსმენელს ეს ძალიან მოეწონა, - ასე გაგვიზიარა თავისი ემოციები მარკუს მილერმა.

ფესტივალის დასკვნით დღეს მაყურებელთა წინაშე ამერიკული ჯგუფი „ბრუკლინ ფანკ ესენშელი“ წარსდგა, რომლის გემოვნებიანმა და ენერგიულმა მუსიკამ კიდევ უფრო მეტი ფერი და ემოცია შესძინა ჯაზფესტივალს.

აღსანიშნავია, რომ რიგით მეთექვსმეტე ჯაზფესტივალი შეცვლილ ლოკაციაზე გაიმართა. ამჯერად, მსოფლიო ვარსკვლავებს ახალ, თანამედროვე საკონცერტო სივრცე „სთეიჯ 17“-ში უმასპინძლეს, რომელიც უმაღლესი კლასის აპარატურითაა აღჭურვილი. „ისთერფრომოუშენის“ დამფუძნებელ მიხეილ გიორგაძის თქმით, მოლოდინი, რომ ბათუმში სამდღიანი დღესასწაული შედგებოდა, გამართლდა.

- მინდა, მადლობა გადავუხადო თითოეულ ადამიანს, ვინც წლიდან-წლამდე ელოდება შავი ზღვის ჯაზფესტივალს, რათა დააგროვოს დაუვიწყარი შთაბეჭდილებები, მადლობა „სთეიჯ 17“-ს. ვფიქრობ, ასეთი სივრცე ბათუმს ძალიან სჭირდებოდა. დარწმუნებული ვარ, ყველამ, ვინც შეძლო ფესტივალზე დასწრება, უდიდესი სიამოვნება და დაუვიწყარი შთაბეჭდილებები მიიღო. შავი ზღვის ჯაზფესტივალი წლიდან წლამდე როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ უფრო და უფრო მეტ ავტორიტეტს იძენს. ათ წელზე მეტია, იგი შედის ევროპის ყველაზე პრესტიჟული მუსიკალური ფესტივალების კალენდარში. ვფიქრობ, სწორედ ეს გვაძლევს საშუალებას, ყოველ წელს ყველაზე მოთხოვნადი არტისტები წარვუდგინოთ მსმენელს, მაყურებელს, - განაცხადა მიხეილ გიორგაძემ.

შავი ზღვის ჯაზფესტივალი მელომანებს რიგით მე-17 პაემანს ისევ „სთეიჯ 17“-ში გვინიშნავს და, როგორც ყოველთვის, მრავალფეროვან დღეებს გვპირდება.





# სამი ქართველი მომღერალი საერთაშორისო კონკურსის ნახევარფინალშია

**მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97**

*ივნისის შუა რიცხვებში ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში, არტურო ტოსკანინის ფონდთან კოლაბორაციის ფარგლებში, ბუსეტოს (იტალია) 59-ე საერთაშორისო კონკურს **Voci Verdiane**-ის შესარჩევი ტური ჩატარდა. ჟიურის წევრები მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი და ვოკალის პედაგოგი მარიამ ჯახუტაშვილი, აგრეთვე ცნობილი მსოფლიო ბანი და რეჟისორი ორლინ ანასტასოვი იყვნენ*

აღსანიშნავია, რომ აჭარაში პირველად ჩატარდა ამგვარი საერთაშორისო კონკურსის შესარჩევი ტური, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ბათუმის ცნობადობას, ხელს შეუწყობს დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებას საერთაშორისო ასპარეზზე საოპერო მიმართულებით. ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს უნიკალური შესაძლებლობა მიეცათ საკუთარ ქვეყანაში, ამასთან, მიზერული დანახარჯებით, მონაწილეობა მიეღოთ მსოფლიო დონის კონკურსის შესარჩევ ტურში. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა წელს ასეთივე კონკურსის ჟიურის წევრები ისეთი ცნობილი მომღერლები იყვნენ, როგორებიც არიან ხოსე კარერასი, ლეილა გენჯერი, რობერტო ალანია და სხვები. წლევანდელი შესარჩევი ტური, ბათუმის გარდა, კიდევ ევროპის რამდენიმე ქალაქში, მათ შორის სოფიაში, ვალენსიაში, მილანში, ვენაში, ბუენოს-აირესში, პალერმოში ჩატარდა.

წლევანდელი კონკურსი ეძღვნება სახელგანთქმული იტალიელი ტენორის კარლო ბერგონცის ხსოვნას. პირველი ტური (ელიმინაციური რაუნდი) 8, 9, 10 სექტემბერს გაიმართება, ნახევარფინალური ტური - 11 და 12 სექტემბერს, ფინალური ეტაპი კი 13 სექტემბერს და იგი კონცერტით დასრულდება.

16 სექტემბერს გამარჯვებულთა კონცერტს „Rongole Verdi-Si“ ვერდის სამშობლოში უმასპინძლებენ.

გამარჯვებულებს სოლიდურ პრემიებს გადასცემენ: პირველი ადგილი - 8 ათასი, მეორე - 5 ათასი, მესამე - 3 ათასი ევრო.

როგორც კონკურსის შესარჩევი ტურის ხელმძღვანელმა, ჩვენმა შესანიშნავმა მომღერალმა, სოლისტმა ეთერ ხალვაშმა გვითხრა, კომისიამ მოსმენაზე უკვე შეარჩია და პირდაპირ ნახევარფინალში გადაიყვანა საქართველოს სამი ვოკალისტი: ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სოლისტი ლელა სიხარულიძე, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი გიორგი გობრონიძე და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებული ანა იმედაშვილი.

წარმატებას ვუსურვებთ ქართველ მომღერლებს.







# 86-ე თეატრალური სეზონი დაიხურა

**ნანა აბულაძე 577 20 35 90**

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში 86-ე თეატრალური სეზონი რეჟისორ ელენე მაცხონაშვილის სპექტაკლით - „წერილი ჯერალდინას“ დაიხურა. ამავე დღეს თეატრში მისულ საზოგადოებრიობას შესაძლებლობა ჰქონდა, დაეთვალიერებინა აღნიშნულ სეზონზე ამა თუ იმ სპექტაკლისთვის შექმნილი თოჯინები და კიდევ ერთხელ ემოგზაურა ბავშვობაში, სადაც ყველაფერი ფერადი და სადღესასწაულოა.



- 86-ე სეზონზე სულ 9 სპექტაკლი დაიდგა, რაც, ვფიქრობ, საკმაოდ დიდი რაოდენობაა ასეთი პატარა თეატრისთვის. სამომავლოდ ძალიან ბევრი ღონისძიება და სპექტაკლი გვაქვს დაგეგმილი. სექტემბერში საფრანგეთში გასტროლს ვაპირებთ, შემდეგ კი დედაქალაქს ვეწვევით, სადაც საერთაშორისო ფესტივალში მივიღებთ მონაწილეობას. მინდა მადლობა გადავუხადო თეატრის თითოეულ გულშემატკივარს, პირველ რიგში, მაყურებელს, რომელსაც შემდგომ სეზონზეც საინტერესო და მრავალფეროვან ღონისძიებებსა და სპექტაკლებს ვპირდებით, - გვითხრა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირაკლი კიკვაძემ.

86-ე თეატრალური სეზონის დახურვის დღეს, ასევე, გაიმართა თეატრის ყოფილ მთავარ მხატვარ კობა ხოფერიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ნახატების გამოფენა.